ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 4 აგვისტო, 2020 | №164 (8428) | ფასი: 60 თეთრი

## გოგი თოფაძე: „ბუსა ქვანიამ პასუხი უნდა აგოს, მოლაპარაკება გამორიცხულია!“

გვ.5



# რომან გოცირიძე: „ევროპული საქართველო“ ნაციონალებს ხმებს წაგვართმევს“



გვ.3

„სამაგიეროდ, მეორე ტურში ერთმანეთს დავეხმარებით“

## „სააკაშვილი და ივანიშვილი ტყუპის ცალივით გვანან ერთმანეთს“



გვ.2





გია ხუხაშვილი: „ბოკერიას მაჟორიტარობა მოულოდნელობაა, ამხელა ანტირეიტინგით ბრძოლაში შესვლას სერიოზული გამბედაობა სჭირდება“

## „ბოკერია უფრო საარჩევნო სიის კანდიდატია, ვიდრე მაჟორიტარობის“

სოსო ცინცაძე: „ამერიკის არჩევნები ემთხვევა ჩვენს არჩევნებს. 3 ნოემბერს არის ამერიკაში არჩევნები, ჩვენთან 31 ოქტომბერს. ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ დავაყენებდი, რომ საქართველოში არჩევნები იმ დროისთვის ამერიკისთვის პრიორიტეტი იყოს“



გვ.4

## გიგა ბოკერია: „ნაციონალურ მოძრაობას აქვს ილუზია, რომ მარტო მოვა ხელისუფლებაში“

გვ.2

## ლევან სამუშიამ პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ დატოვა



გვ.2



გვ.4

## გია ვოლსკი: „წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილი ვა-ბანკზე წავიდა“




გვ.4

## რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის მიმოსვლა ერთდროულად გაიხსნა

## დააკავეს ნარკომოვაჭრეები, რომელთა შემოსავალმა წელს 2 მილიონი შეადგინა



გვ.5

ISSN 1987-9385

**3** 2019 წელს პარლამენტში 21 დეპუტატს სიტყვა ერთხელაც არ უთქვამს

**2** გიგი უგულავა – ზუგდიდი, გიგა ბოკერია – ფოთი, აკაკი ბობოხიძე – სამტრედია „ევროპულმა საქართველომ“ მაჟორიტარები წარადგინა

**5** თამარ ბაჩალიაშვილის ცხედარს ფეხსაცმელი არ ეცვა

**6** პოლონეთმა გაზპრომი 57 მილიონი დოლარით დააჯარიმა

# გია ხუხაშვილი: „სააკაშვილი და ივანიშვილი ტყუპის ცალივით გვანან ერთმანეთს“

იაგო ნაცვლიშვილი

## „ბოკერიას მაჟორიტარობა მოულოდნელობაა, ამხელა ანტირეიტინგით ბრძოლაში შესვლას სერიოზული გამბედაობა სჭირდება“

**საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები ერთპიროვნულად უნდა მოიგოს, ამასთან სააკაშვილი გიორგი ვაშაძის შესახებ ამბობს, რომ ის ბნელ მხარეს დადგა. სააკაშვილს გიორგი ვაშაძე კრიტიკით არ პასუხობს, ის ყველა მხარეს მოუწოდებს, რომ ახლა ტალახის სროლის დრო არ არის. პარალელურად ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ ის არც პარლამენტში იქნება და არც — რაიმე თანამდებობაზე.**

რას ნიშნავს სააკაშვილის განცხადებები, რამდენად სწორი იყო მერაბიშვილის გადაწყვეტილება და რას ფიქრობს „ევროპული საქართველოს“ მხრიდან მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენის თაობაზე? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***— მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ გიორგი ვაშაძე ბნელ მხარეს გადავიდა. რას ნიშნავს ეს თქვენი აღქმით?***

— ეს დამახასიათებელია ჩვენი ლიდერებისთვის. ამით ძალიან გვანან მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი ერთმანეთს. ტყუპის ცალებივით გვანან ისინი ერთმანეთს ამ თვალსაზრისით. იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის მოქმედებენ პრინციპით — ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია. ეს არის პრინციპი და დავუშვათ, როგორც ბიძინა ივანიშვილის საუბრობს დავით უსუფაშვილზე,



ასევე საუბრობს სააკაშვილი ვაშაძეზე და ეს ჩვეულებრივი ამბავია. ვინც მათთან არ არიან, ისინი ყველანი მათი მტრები არიან.

***— ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველს მხოლოდ ნაცებად და ქოცებად განიხილავენ?***

— ორპოლუსიანობა მარტო „ქართული ოცნების“ ინტერესში არ არის. ეს არის სულელური თამაში ორ ხელში — „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის შესრულებით. ეს არის სიმბიოზი, რომელიც ჩამოყალიბებულია ქართულ პოლიტიკაში და რომლებიც ერთმანეთით იკვებებიან.

***— სააკაშვილი საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსია და ვერ ხვდება, რომ ეს ივანიშვილისთვის არის მომგებიანი?***



— როგორ ვერ ხვდება, ხვდება, მაგრამ მისი პოლიტიკური სტრატეგია აბსოლუტურად გამჭვირვალეა — თუ ნაციონალური მოძრაობა ექსკლუზიურად ვერ მოდის ხელისუფლებაში, ამ შემთხვევაში ურჩევნია, რომ ისევ „ქართული ოცნება“ დარჩეს. იმიტომ, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას შეინარჩუნოს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი. მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში შეინარჩუნებს ამას. ყველა სხვა შემთხვევაში ეს ვერ მოხდება.

***— ანუ კოალიციის სახით ხელისუფლებაში მოსვლას ნაციონალურ მოძრაობას მეორე ადგილზე გასვლა ურჩევნია?***

— საქმეც მაგაშია, რომ კოალიციას ვერ კრავენ. იმიტომ, რომ მათი გაგებით კოალიცია არ არის თანაბარი კალიბრის პარტიების ერთიანობა. კოალიცია, ნაციონალური მოძრაობის გაგებით, არის ნაციონალური მოძრაობა და ყველა სხვა დანარჩენი. ანუ თვითონ უნდა იყოს ცენტრში და თვითონ უნდა იყოს ძალაუფლების წყარო. სხვა პარტიები კი უბრალოდ სტატისტის როლში უნდა იყვნენ. მხოლოდ ამგვარ კოალიციას აღიარებს ნაციონალური მოძრაობა. თანაბარ პარტიებთან თანამშრომლობას არ აპირებს. ანუ, როგორც ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს ძალაუფლების ვინმესთან გაყოფას, ასევე არ აპირებს მიხეილ სააკაშვილი ძალაუფლების გაყოფას. ორივე ლიდერის პრინციპი ასეთია, რომ ან ყველაფერი, ან არაფერი. ასე მოქმედებენ ისინი.

***— ნაციონალური მოძრაობა მაინც იქნებოდა კოალიციის ცენტრში, იმიტომ, რომ სწორედ ის არის ყველაზე მძლავრი ოპოზიციური პარტია, მაგრამ ესეც არ აკმაყოფილებს და სხვა პარტიები მის ირგვლივ მხოლოდ ფორმალურად უნდათ, რომ იყვნენ და არა — პარტნიორების როლში?***

— დიახ. ზუსტად ეს უნდათ, მაგრამ ეს დღეს შეუძლებელია და რადგანაც დღეს ეს შეუძლებელია, ამიტომ ურჩევნია, რომ ისევ „ქართული ოცნება“ დარჩეს ხელისუფლებაში ახლა და შეინარჩუნონ მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი, რაც მას უტოვებს შანსს, რომ 2024 წელს მაინც მიიღებს შედეგს. მათთვის ახლა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენა უფრო კომფორტულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ძალის მოსვლა. იმიტომ, რომ სხვა ძალის გამოჩენა გამოიწვევს იმას, რომ თვითონ დაკარგავს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს და ეს მათთვის ძალიან სახიფათოა.

***— ვანო მერაბიშვილმა გაავრცელა განცხადება და თქვა, რომ ის არ აპირებს არც პარლამენტში და არც მთავრობაში რაიმე თანამდებობაზე ყოფნას.***

— ეს მისი გადასაწყვეტია.

***— ხომ არ არის ეს ტაქტიკის ნაწილი მისი იმიჯიდან გამომდინარე, რადგან ხელს ხომ არ უშლის ეს ნაციონალურ მოძრაობას?***



— იმიჯში არ არის აქ საქმე. ეს არის მისი გადასაწყვეტი საკითხი და შეიძლება ითქვას, რომ სწორი გადაწყვეტილებაა. იმიტომ, რომ ის მაინც კულისური მენეჯერი უფროა და ალბათ შტაბის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

***— სააკაშვილის ამ გზავნილებზე, რაც მან გააკეთა, უნდა ჰქონდეს თუ არა ოპოზიციას, იგივე ვაშაძეს ან სხვებს პასუხი თუ სწორად იქცევა ვაშაძე, რომ არ პასუხობს მწვავედ და უკეთესია დუმილის შენარჩუნება?***

— რა თქმა უნდა, სჯობს, რომ ხიდები არ დაიწვას, რათა თანამშრომლობის შესაძლებლობა იყოს შენარჩუნებული.

***— „ევროპულმა საქართველომ“ დაასახელა მაჟორიტარობის კანდიდატები. როგორ უყურებთ ამ პროცესს?***

— აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გიგა ბოკერია დადგა მაჟორიტარად, რაც ჩემთვის კიდევ ერთი მოულოდნელობა იყო. მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა, ეს გადაწყვეტილება პატივისცემასაც იმსახურებს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ამხელა ანტირეიტინგით მაჟორიტარულ ბრძოლაში შესვლას სერიოზული გამბედაობა სჭირდება.

***— ამ პროცესისგან რა მოლიდინი გაქვთ?***

— არაფერს არ ველოდები. პროგნოზებისგან თავს შევიკავებ.

## გიგი უგულავა — ზუგდიდი, გიგა ბოკერია — ფოთი, აკაკი ბობოხიძე — სამტრედია „ევროპულმა საქართველომ“ მაჟორიტარები წარადგინა

გუშინ, 3 აგვისტოს, „ევროპულმა საქართველომ“ რეგიონებში მაჟორიტარობის კანდიდატების ნაწილი წარადგინა. კანდიდატები პარტიის ლიდერმა დავით ბაქრაძემ დაასახელა.

რეგიონების მაჟორიტარულ ოლქებში „ევროპული საქართველოს“ კანდიდატები იქნებიან:



ზურაბ ჭიაბერაშვილი — თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხი;

გიორგი ღვინიაშვილი — გურჯაანი-საგარეჯო-სიღნაღი-დედოფლისწყარო;

ირმა ნადირაშვილი — რუსთავი;

აჰმედ იმანყულიევი — მარნეული, გარდაბანი;

ოთარ კახიძე — ქუთაისი;

სერგო რატიანი — საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაული;



გიგი წერეთელი — ზესტაფონი-ბაღდათი-თერჯოლა-ტყიბული;

აკაკი ბობოხიძე — სამტრედია-წყალტუბო-ვანი-ხონი;

გიგი უგულავა — ზუგდიდი;

გიგა ბოკერია — ფოთი-ხობი-სენაკი;

ლელა ქებურია — აბაშა-მარტვილი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ;

ხათუნა გოგორიშვილი — ოზურგეთი-ლანჩხუთი-ჩოხატაური;

ტარიელ ნაკაიძე — ხულო-შუახევი-ქედა.

პარტიამ დაასახელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნებზე კანდიდატებიც.

ესენია: ბათუმში — ვახტანგ კალოიანი, ხოლო ქედა-შუახევი-ხულო — თემურ კახიძე.

„ევროპული საქართველოს“ საარჩევნო შტაბის უფროსი სერგი კაპანაძე იქნება.

## გიგა ბოკერია: „ნაციონალურ მოძრაობას აქვს ილუზია, რომ მარტო მოვა ხელისუფლებაში“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას შეფასებით, ნაციონალურ მოძრაობას აქვს ილუზია, რომ მარტო მოვა ხელისუფლებაში.

— თბილისის შეთანხმება ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმებაა. „ევროპული საქართველო“ ვთვლით, რომ რეგიონებში, საკვანძო ოლქებში, შეთანხმება იქნებოდა სწორი იმიტომ, რომ ეს შეამცირებდა იმის რისკებს, თუ როგორ მოიქცევა ივანიშვილისნაირი არასტაბილური რეჟიმი პირველი ტურიდან მეორე ტურამდე და რამდენ შარში გახვევს ქვეყანას.

ეს ივანიშვილს ძალაუფლებას ვერ შეუნარჩუნებს. ყველა შემთხვევაში ის დამარცხდება, ოღონდ არის უფრო სარისკო სცენარები და ნაკლებად სარისკო და ამიტომ ნაციონალურმა მოძრაობამ მძიმე შეცდომა დაუშვა, ამას ამომრჩეველი შეაფასებს, როცა ასეთ გონივრულ შეთავაზებაზე თქვა უარი იმ ილუზიით, რომ ისინი მარტო მოვლენ ხელისუფლებაში.

ვერ მოვლენ მარტო, ეგ ვერ მოხდება. სამწუხაროა, ეს გადაწყვეტილება რომ მიიღეს, მაგრამ ჩვენ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან გვაქვს კონსულტაციები, — აღნიშნა ბოკერიამ.

მისი თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ „ვარდების რევოლუციის“ პრინციპებს გადაუხვია.

— ნაციონალური მოძრაობა ძალიან განსხვავდება ჩვენგან, ლიდერებთან მიმართებით, წარსულის გააზრებაში, გულწრფელად და სიღრმისეულად იმის გაგებაში, რომ დიდი საქმე გაკეთდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მაგრამ რა იყო დიდი ჩავარდნა. ეს სადღეგრძელოდ კი არ უნდა თქვა, უნდა გესმოდეს, რა იყო არასწორი.

ზოგჯერ სააკაშვილს და ამ ხალხს რომ ვუსმენ ხოლმე, მეც ეჭვი მეპარება, რომ სხვისკენ იშვერენ ხელს. ჩვენ ეგ გაგება არ გვაქვს. ჩვენ ვთვლით, რომ იმ პოლიტიკური წონით, ვინც ვიყავით გუნდში, ცუდზეც და კარგზეც ერთად გვაქვს პასუხისმგებლობა. ასე ვერ იტყვი, რომ ცუდი ვიღაცის ბრალი იყო. როცა პოლიტიკური ლიდერი ხარ, ყველაფერზე გაქვს პასუხისმგებლობა. ამის გააზრება მნიშვნელოვანია. იმის ახსნა ამომრჩევლისთვის, როგორ გააკეთებ ახლა განსხვავებულად, არის მნიშვნელოვანი.

ესეც განგვასხვავებს ნაციონალური მოძრაობისგან — წარსულის აღქმა და მომავლის ხედვა, მთავრობის როლის გაგებაც, სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებიც. ჩვენ სხვადასხვა ხედვა აღმოგვაჩნდა. ჩვენ „ვარდების რევოლუციის“ პრინციპებს ვაგრძელებთ, ნაციონალურმა მოძრაობამ გადაუხვია სამწუხაროდ. „ვარდების რევოლუციის“ პრინციპებში ვგულისხმობ არა ზოგად პრინციპებს, არამედ დასავლური ტიპის მცირე მთავრობას და ლიბერალურ დემოკრატიას, — განაცხადა ბოკერიამ.

## ლევან სამუშიამ პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ დატოვა



ლევან სამუშიამ პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ დატოვა. ამის შესახებ სამუშიამ განცხადება სოციალურ ქსელში გაავრცელა.

ლევან სამუშიას პარტიის დატოვების მიზეზთან დაკავშირებით განმარტება არ გაუკეთებია და აღნიშნა, რომ დამატებითი კომენტარის გაკეთებას არ აპირებს.

„მივიღე ჩემთვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება, დავტოვო პარტია „თავისუფალი დემოკრატები“. წარმატებას ვუსურვებ „თავისუფალ დემოკრატებს“!

სადაც არ უნდა ვიყო, აქტიურად გავაგრძელებ ბრძოლას „რუსული ოცნების“ წინააღმდეგა, ქვეყნის დასავლური მომავლისათვის და ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში სამართლიანობის დამკვიდრებისათვის“ — განაცხადა ლევან სამუშიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რომან გოცირიძე: „ევროპული საქართველო“ ნაციონალებს ხმებს წაგვართმევს“

## „სამაგიეროდ, მეორე ტურში ერთმანეთს დავეხმარებით“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.**

***– ბატონო რომან, გიგი უგულავა ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატია, გიგა ბოკერია კი – ფოთის. რა თამაში წამოიწყო „ევროპულმა საქართველომ“?***

– მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ და ამ მოვლენების დრამატიზება არ არის საჭირო. პარტიები არიან ერთმანეთის კონკურენტები. ამ პოლიტიკურმა პარტიებმა იმდენი გააკეთეს, რაც 30 წლის განმავლობაში არ გაუკეთებიათ, თანამშრომლობის კუთხით. პირველი უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როდესაც 30-მდე პარტია გაერთიანდა ერთი იდეის ირგვლივ, რომლის მიხედვითაც მიღწეული იქნა შედეგი, პროპორციულთან მიახლოებული საარჩევნო სისტემაზე გადასვლის. ეს არის პარტიების თანამშრომლობის დამსახურება და პარტიებს არ უთქვამთ, რომ მომავალში ისინი ერთმანეთის კონკურენტები არ იქნებოდნენ.

ამავე დროს, პარტიებმა განაცხადეს, რომ ისინი პარლამენტში შესვლის შემდეგ, შექმნიან კოალიციას და არც ერთი მათგანი, ვინც შედიოდა ლეიბორისტების ოფისის ფორმატში, არ შეუქმნის უმრავლესობას ბიძინა ივანიშვილს. ეს იყო ძალიან სერიოზული განაცხადი.

***– რეგიონებში ერთმანეთს სერიოზულ კონკურენციას უწევთ და ამით „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამთ წყალს.***

– ჩვენ არ შევთანხმებულვართ რეგიონებზე, ჩვენ შევთანხმდით თბილისში ერთიან კანდიდატებზე, მართალია, ეს ინიციატივა მხოლოდ 6 ოლქზე გავრცელდა, მაგრამ ესეც კარგია. დანარჩენი, რომ რეგიონებში ერთმანეთს კანდიდატებს არ დაუყენებდნენ და ასე შემდეგ, არ ყოფილა არასდროს თქმული.



***– „ევროპული საქართველო“ რეგიონებშიც ითხოვდა ასეთ შეთანხმებას და საერთო კანდიდატებს. თქვენ არ დათანხმდით და გაგინაწყენდნენ.***

– ასეთი ვალდებულება არავის არ აუღია, ამიტომ, აქ ვინმეს მიერ ერთმანეთის მიმართ საყვედური, არასწორია. არასწორია „ევროპული საქართველოს“ მიერ გამოთქმული საყვედური ნაციონალური მოძრაობის მიმართ, ან პირიქით, ნაციონალურ მოძრაობას რომ გამოეთქვა სხვებისადმი საყვედური.

გასაღები ხელისუფლების შეცვლისა არის პროპორციულ სიაში. ხოლო რეგიონში თუ არ გყავს მაჟორიტარი, რეალურად ძალიან სერიოზულად აკლებ შენს ძალისხმევას პროპორციული მიმართულებით.

***– უგულავა რამდენად წაგართმევთ ხმებს ზუგდიდში?***

– ნაციონალურმა მოძრაობამ წინა არჩევნების პირველი ტური მოიგო ყველა დიდ ქალაქში, როგორიც არის ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისი, რუსთავი და თელავი. სამჯერ და ოთხჯერ მეტი ხმები აიღო სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ასეთ ოლქებში ჩვენ გვეყოლება საკუთარი კანდიდატები! მათ შორის ზუგდიდში, ქუთაისში და ასე შემდეგ.

***– რამდენად წაგართმევთ ხმებს „ევროპული საქართველო“?***

– რა თქმა უნდა, წაგვართმევს ხმებს, მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ მეორე ტურში ყველა დავეხმარებით ერთმანეთს.

***– ასეთ სიტუაციაში იქნება კი მეორე ტური? ბევრი ფიქრობს, რომ ეს ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს და ის პირველივე ტურში მოგიგებთ.***

– არა. მე არა მგონია, ასე იყოს, რადგან უმეტეს ოლქებში, 30-დან დაახლოებით 20 ოლქში ალბათ იქნება მეორე ტური. მეორე ტურში კი ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს, ვინაიდან გამორიცხულია, „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ორიოდე სატელიტმა, პროპორციულით აიღოს უფრო მეტი, ვიდრე ოპოზიციამ. ძალიან უხეშად რომ ვთქვათ, 40% რომ აიღოს „ოცნებამ“ და მასთან მიტმასნილმა სხვადასხვა სატელიტურმა პარტიებმა და 55% სხვებმა, ეს სერიოზული სხვაობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება იცვლება. ამას ძალიან კარგად შეაფასებს ყველა პარტია მეორე ტურში.

### „ვანო მერაბიშვილი ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს“

***– საუბრობენ იმაზე, რომ თბილისის ეს ორი ოლქი ხელისუფლებას მიზანმიმართულად დაუთმეთ. გიგი უგულავას მოუწოდებდნენ რომ თბილისში დაეყენებინა საკუთარი კანდიდატურა, თუმცა მან რატომღაც ზუგდიდი არჩია. არც ბოკერიამ მოინდომა თბილისი. რატომ მაინცდამაინც ზუგდიდი და ფოთი?***



– ეს არის ხელისუფლების ხრიკები, რომ ოპოზიცია გათიშოს და ერთმანეთს წააჩხუბოს. ის, რომ დიდუბეში და საბურთალოზე ვერ მოახერხა ოპოზიციამ კანდიდატების დაყენება, არის სამწუხარო. ჩვენ არ ვმონაწილეობდით ამ პროცესში, ჩვენ მხოლოდ ორ ოლქში დავაყენეთ კანდიდატურები, დანარჩენი კი დავუთმეთ დანარჩენ ოპოზიციას. 6-ში მოხდა შეთანხმება ორში ვერა. ეს არის ცუდი, მაგრამ იმის თქმა, რომ ხელისუფლებას ვინმემ რამე დაუთმო, არასწორია.

***– სადაც ძლიერია ნაციონალური მოძრაობა, სწორედ იქ დაგიყენათ პოპულარული კანდიდატები „ევროპულმა საქართველომ“. ეს კითხვებს არ გიჩენთ?***

– ჩვენ ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავთ. ხომ ხედავთ, რა კონკურენციაა საბურთალოზე, იმდენი პოპულარული ოპოზიციური კანდიდატი დაეჯახა ერთმანეთს. არ არის სხვა გამოსავალი, ასეთია საარჩევნო ცხოვრება. პარტიები ჯერ საკუთარ თავზე ფიქრობენ და შემდეგ უკვე – კოალიციაზე და არაფერი ამაში გასაკვირი არ არის. არსად არ ხდება, რომ პარტიებმა საათივით ააწყონ კოორდინაცია. ვინც გაიმარჯვებს, შემდეგ პარლამენტში შეხვდება ერთმანეთს და მერე იქ ხდება მთავარი.

ჯერ „ევროპულმა საქართველომ“ დაასახელა რეგიონებში მაჟორიტარები, მერე ლელო დაასახელებს, მერე კიდევ სხვა პარტია დააყენებს და ასე შემდეგ. ეს არანაირი პრობლემა არ არის. ეს არის პრაგმატული ნაბიჯი პარტიების მხრიდან. ყველა სათავისოდ იბრძვის. ამიტომ ვინმეს დამუნათება, თუ რატომ აყენებს კანდიდატებს, არ არის სწორი მიდგომა.

***– ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ ოპოზიციური პარტიები სკამებისა და მანდატებისთვის ვაჭრობენ და იბრძვიან, ამომრჩეველს კი ალტერნატივას არ სთავაზობენ. რატომ გააკეთა ვანო მერაბიშვილმა ეს განცხადება?***

– პოლიტიკური ვაჭრობა არის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ვაჭრობა არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ფულს იღებ. ეს არის პოლიტიკური გარიგებები. სადღაც შენ აყენებ, სადღაც სხვა არ გიყენებს. პოლიტიკურ პარტიებს შორის ყოველთვის ხდება პოლიტიკური ვაჭრობა და კომპრომისები. ამიტომ თუ ჩანს, რომ ინტერესები არ კმაყოფილდება, ე.ი. გარიგება ვერ შედგა.

***– სულ იყო საუბარი იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილი სამცხე-ჯავახეთის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნებოდა, თუმცა ის უარს ამბობს, იყოს დეპუტატი ან მომავალი მთავრობის წევრი.***

– ვანო მერაბიშვილს ხან რა ჭორი გაუვრცელეს და ხან რა. ხან „ევროპულ საქართველოში“ გააწევრიანეს და ხან სად. ადგა კაცი და პირდაპირ განახა, რომ არც კენჭს იყრის და არც თანამდებობა სურს. თუმცა მას რომ ახალციხეში კენჭი ეყარა, რა თქმა უნდა, ჰქონდა გამარჯვების შანსი.

***– რატომ თქვა უარი?***

– გადაწყვიტა, რომ ასე ჯობს და ეს უკვე მისი ნებაა. ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე უნდა იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არა – პოლიტიკაში.

***– მისმა ამ განცხადებამ ხომ არ დააზარალა ოპოზიცია, როდესაც თქვა, რომ ოპოზიცია ვაჭრობს სკამებით და მანდატებით?***

– შესაძლებელია, ეს იყოს მწვავე გამონათქვამი, რომ მოდით ახლა შეწყვიტეთ კინკლაობა და შეუდექით საარჩევნო კამპანიას. შესაძლოა, ეს მწვავე ფორმა ერთგვარი გამომაფხიზლებელიც იყოს ოპოზიციისთვის.

***– თითქოს განაწყენებული პოზიციიდან გაკეთებულ განცხადებას უფრო ჰგავდა.***

– რატომ განაწყენებული?! რაზე უნდა იყოს განაწყენებული.

***– რა როლი აქვს მას დღეს ნაციონალურ მოძრაობაში?***

– ის არაა ნაციონალური მოძრაობის წევრი, მაგრამ მას უამრავი მეგობარი ჰყავს ნაციონალურ მოძრაობაში, ისევე, როგორც „ევროპულ საქართველოში“ და მას, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ეთქმის თავისი სიტყვა.

***– ანუ ამ არჩევნებს მთლიანად ეთიშება?***

– როგორც ჩანს, ასეა.

***– ნაციონალური მოძრაობა როდის დაასახელებს მაჟორიტარ კანდიდატებს რეგიონებში?***

– ჩვენ ფაქტობრივად უკვე დასახელებული გვყავს რამდენიმე ოლქში, ეს არის კახეთში, ქუთაისში, ეს არის თბილისში და ნელ-ნელა ჩვენ დავასახელებთ იმის მიხედვით, თუ სად როგორ შევარჩევთ ყველაზე კონკურენტუნარიან კანდიდატს. ახლა მიდის კანდიდატების შერჩევის პროცესი.

***– ზუგდიდში ვინ იქნება თქვენი კანდიდატი?***

– ჩვენ გვყავს რამდენიმე კანდიდატი ზუგდიდში და ზოგადად სამეგრელოში. თუ რომელზე შევაჩერებთ არჩევანს, გამოჩნდება ერთ-ორ კვირაში.

# 2019 წელს პარლამენტში 21 დეპუტატს სიტყვა ერთხელაც არ უთქვამს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს, პარლამენტში სიტყვით გამოსვლის უფლებით 21 დეპუტატს ერთხელაც არ უსარგებლია.

ორგანიზაციამ 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა შეაფასა, ანგარიში კი დღეს წარმოადგინა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასებით, დეპუტატების უმრავლესობა, რომლებსაც საპარლამენტო ტრიბუნა ერთხელაც არ გამოუყენებია, „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატები არიან.



„მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა სიტყვით გამომსვლელი დეპუტატების რაოდენობა, კვლავ პრობლემად რჩება დეპუტატების აქტივობა, რომლებიც საერთოდ არ სარგებლობენ ამ უფლებით, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში სიტყვით გამოსვლის უფლებით საერთოდ არ უსარგებლია 21 დეპუტატს, ესენია:

ირაკლი აბუსერიძე (უმრავლესობა, მაჟორიტარი), ლევან ბეჟანიძე (უმრავლესობა, მაჟორიტარი), რუსლან გაჯიევი (უმრავლესობა, მაჟორიტარი), მახირ დარზიევი (უმრავლესობა), მუხრან ვახტანგაძე (უმრავლესობა, მაჟორიტარი), ზაზა კედელაშვილი („ევროპული საქართველო“), თეიმურაზ კოხრეიძე (უმრავლესობა), იოსებ მაკრახიძე (უმრავლესობა, მაჟორიტარი), სამველ მანუკიანი (უმრავლესობა), ენზელ მკოიანი (უმრავლესობა, მაჟორიტარი), გიორგი მოსიძე (დამოუკიდებელი წევრი, მაჟორიტარი), რომან მუჩიაშვილი (უმრავლესობა, მაჟორიტარი), რამაზ ნიკოლაიშვილი (დამოუკიდებელი წევრი), რუსლან პოღოსიანი (უმრავლესობა), დიმიტრი სამხარაძე (უმრავლესობა), ერეკლე ტრიპოლსკი (უმრავლესობა), გოდერძი ჩანქსელიანი (უმრავლესობა, მაჟორიტარი), არჩილ ხაბაძე (უმრავლესობა), ირაკლი ხახუბია (უმრავლესობა, მაჟორიტარი), ელგუჯა გოცირიძე (უმრავლესობა, მაჟორიტარი), ვიქტორ ჯაფარიძე (უმრავლესობა)“ – აღნიშნულია კვლევაში.

რაც შეეხება 2019 წლის განმავლობაში ჩართულობის კუთხით პარლამენტის ყველაზე აქტიურ წევრს, ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე მეტი კანონპროექტის ინიციატორია რატი იონათამიშვილი.

„პლენარული სხდომის ყველაზე აქტიური მონაწილეა საპარლამენტო უმრავლესობიდან – ანრი ოხანაშვილი, პლენარული სხდომის ყველაზე აქტიური მონაწილე უმრავლესობის გარეთ არსებული ფრაქციებიდან (ოპოზიცია) – ეკა ბესელია, ყველაზე მეტი სადეპუტატო კითხვის ავტორი – სერგი კაპანაძე, ყველაზე აქტიური კომიტეტი – იურიდიულ საკითხთა კომიტეტი“ – ნათქვამია კვლევაში.

# რა გაძვირდა და გაიაფდა ივლისში

2020 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0.5 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 5.7 პროცენტი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2020 წლის ივლისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 5.8 პროცენტით განისაზღვრა.

„საქსტატის“ მონაცემებით, ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 1.6 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე -0.51 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (-11.7 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (-8.2 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-2.7 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა ყავის, ჩაისა და კაკაოს ქვეჯგუფზე (2.0 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 4 პროცენტიანი კლება, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინდექსში -0.15 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები შემცირდა როგორც ტანსაცმლის (-4.8 პროცენტი), ისე ფეხსაცმლის (-2.7 პროცენტით) ქვეჯგუფებზე; ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 1 პროცენტით, რაც 0.11 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (1.4 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (1.4 პროცენტი).

„წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 11.5 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3.55 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (32.0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (17.4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (14.6 პროცენტი), თევზეული (14.3 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (12.6 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (11.5 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (10.2 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (9.4 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (5.1 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 9 პროცენტიანი მატება. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.61 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (12.7 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (5.9 პროცენტი);

ტრანსპორტი: მოცემულ პერიოდში ფასები შემცირდა 9.3 პროცენტით, რის შედეგადაც ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში -1.18 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების კლება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-11.9 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (-7.1 პროცენტი),“- აღნიშნულია „საქსტატის“ ინფორმაციაში.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# „ბოკერია უფრო საარჩევნო სიის კანდიდატია, ვიდრე მაჟორიტარობის“

## სოსო ცინცაძე: „ამერიკის არჩევნები ემთხვევა ჩვენს არჩევნებს. 3 ნოემბერს არის ამერიკაში არჩევნები, ჩვენთან 31 ოქტომბერს. ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ დავაყენებდი, რომ საქართველოში არჩევნები იმ დროისთვის ამერიკისთვის პრიორიტეტი იყოს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, „ევროპულმა საქართველომ“ მაჟორიტარი კანდიდატები დაასახელა. ერთგვარი მოულოდნელობა იყო გიგა ბოკერიას გადაწყვეტილება, რომელიც პირველად იყრის კენჭს მაჟორიტარად. როგორ აფასებთ მის ამ გადაწყვეტილებას?***

– გიგა ბოკერიას არასდროს უზრუნია პირად რეიტინგზე. სიმართლე გითხრათ, ჩემში ეს სიმპათიას იწვევდა. ბოკერია არის ერთადერთი პოლიტიკოსი, ვინც მაღალი კლასის პოლემისტია. გარდა ამისა, ის პრინციპების ადამიანია. ჯერ კიდევ 17-18 წლის ბიჭი იყო, იელოველების უფლებებს რომ იცავდა. ის იდეებისთვის იბრძვის, რომელსაც არ აინტერესებს მომხვეჭელობა.

ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ ვერაფერი ვერ მოუძებნეს. ბევრს უნდოდა, ბოკერია გისოსებს მიღმა ენახა. გამოძიებაც კი დაიწყო, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი, რაც მისმა შემცვლელმა ქალბატონმა თქვა, ის იყო, მისი სიგარეტით აყროლებულ მანქანაში როგორ ჩავჯდებიო. ბოკერია კი არა, მისი მანქანაც კი შავ სიაში იყო შეყვანილი. თუმცა, ვერაფერი უნახეს და ვერც უნახავენ. – სასახლე აიშენა, კორუფციულ გარიგებაში იყო, ფული აიღო, – ამას ბოკერიაზე ვერ იტყვიან.

***– ეს ხომ დივიდენდია, რატომ არ აისახა მის პირად რეიტინგზე?***

– მთელი ბედის ირონია ის არის, რომ ჩვენთან ეს არ არის პოლიტიკოსისთვის დივიდენდი. სამწუხაროდ, ეს არ არის ბოკერიას ბრალი, ეს საზოგადოების ბრალია. ბევრმა მას ეს ნაბიჯი, ფოთი-სენაკი-ხობში მაჟორიტარად კენჭისყრა, გამბედაობად ჩაუთვალა. მე ვიტყოდი, ეს უფრო ალბათ მისი პრინციპული გადაწყვეტილებაა, რადგან ის ნამდვილად არის პრინციპების ადამიანი. პოპულარობისთვის არასდროს არ უბრძოლია. მისი გამონათქვამები, ნაბიჯები, ქმედებები არ იყო ამისკენ მიმართული. წარმოგიდგენიათ, საქართველოში ადამიანი, რომელიც პოლიტიკაში წასვლას ფიქრობდა, იელოველების უფლებებს დაიცავდა?!

პოლიტტექნოლოგიურად მისი ეს გადაწყვეტილება სწორ ნაბიჯად არ მიმაჩნია. მე მაინც ვფიქრობ, რომ ბოკერია უფრო საარჩევნო სიის კანდიდატია, ვიდრე მაჟორიტარობის. თუმცა, ეს მისი გადაწყვეტილებაა. როგორც ჩანს, მართლაც 20-წლიანი მარათონის შემდეგ უნდა, ძალები მოსინჯოს, როგორც მაჟორიტარმა. ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ გიგა ბოკერია საქართველოს პარლამენტისთვის აუცილებელი პერსონაა. ამიტომ, ის საარჩევნო სიაში უნდა იყოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება ის ნანატრი დროც, როდესაც ნამდვილ პოლიტიკურ პოლემიკას ჩვენს პარლამენტში ადგილი ექნება. ახალ პარლამენტში თუ 8-10 პარტია



შევა, მაშინ ნამდვილად იქნება პოლიტიკური დებატები და ეს ძალიან საინტერესო იქნება.

***– ზუგდიდში გიგი უგულავასა და „ქართული ოცნებიდან“ ირაკლი ჩიქოვანის დაპირისპირება რა შედეგით შეიძლება დასრულდეს?***

– ზუგდიდი, პრინციპულ ობიექტად იქცა მას შემდეგ, რაც 2012 წელს ირაკლი ალასანიამ წააგო, როგორც მაჟორიტარმა კანდიდატმა. სხვათა შორის, პირველმა შავმა კატამ ივანიშვილსა და ალასანიას შორის მაშინ გაირბინა. ივანიშვილმა ძაღლის ნაკბენივით დაუმახსოვრა ეს წაგება ალასანიას. ზუგდიდი თითქოს სახელისუფლო ქალაქად ჩამოყალიბდა.

რაც შეეხება ზოგადად პროგნოზებს, ჯერ ერთი, უმადური საქმეა და მეორე, არ ვიცი, ამერიკელების წერილები, განცხადებები მხოლოდ განცხადებებია და წერილები თუ კიდევ იმის იქით რაღაც?!

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ, მაგალითად, თავის დროზე, შევარდნაძეს პირდაპირ უთხრეს, რომ მან ახალგაზრდებს უნდა დაუთმოს. ეს იყო იმ არჩევნების შემდეგ, როდესაც შევარდნაძემ თქვა – სახლში მივდივარ! 2012 წელს, მიხეილ სააკაშვილს პირდაპირ უთხრეს, უნდა წახვიდე! სწორედ ამას ვგულისხმობ, იქნება ასე?! რა თქმა უნდა, აქ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხალხის, ამომრჩევლის ნებას.

აქ, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ამერიკის არჩევნები ემთხვევა ჩვენს არჩევნებს. 3 ნოემბერს არის ამერიკაში არჩევნები, ჩვენთან 31 ოქტომბერს. ტრამპი უკვე ითხოვს არჩევნების გადადებას კორონავირუსიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, ტრამპი ყველაფერს გააკეთებს, რომ არჩევნები გადაიდოს. ეს ძალიან დიდ შიდა დაპირისპირებას გამოიწვევს. ამიტომ, ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ დავაყენებდი, რომ საქართველოში არჩევნები იმ დროისთვის ამერიკისთვის პრიორიტეტი იყოს. თუმცა, მეორე მხრივ, საქართველო ამერიკისთვის რეალურად არის სტრატეგიული მნიშვნელობის.

ამ არჩევნებზე ბევრი ფაქტორი იქნება მნიშვნელოვანი, შეიძლება გადამწყვეტიც კი. ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება ვირუსის გავრცელების დონეც კი იყოს, თუ როგორი იქნება ოქტომბრისთვის. ვნახოთ. სექტემბრისთვის მაინც, ასე თუ ისე, ყველაფერი გარკვეული იქნება.

# „რუსებს ბათუმში ბინები აქვთ ნაყიდი და აქედან რუსეთში ონლაინ მუშაობენ“

„წელს ბათუმში დამსვენებლები არიან, თუმცა შარშანდელთან შედარებით ეს არაფერია„, – მიყვება ტაქსის მძღოლი და ბულვარისკენ მიმაქროლებს. ბათუმის ქუჩები მართლაც ცარიელია, თუმცა ამას განსაკუთრებით აქაურები გრძნობენ. მათ პანდემიაზე უფრო ფინანსური კრიზისის ეშინიათ. სუვენირების მაღაზიებს შარშან ტურისტები ეხვეოდნენ, ახლა კი ცელქი ბავშვები სტუმრობენ და მხოლოდ ათვალიერებენ. „ბევრი მაღაზია დაიხურა, რადგან ვერ მუშაობდნენ. კომუნალურ გადასახადებს ვერ ვიხდიდით, კონსულტანტს ხელფასს ვერ ვუხდიდით, ამიტომ ხარჯი ყველანაირად შევამცირეთ. რამდენიმე ფილიალი ვისაც ჰქონდა, დაკეტა და მხოლოდ ერთი დაიტოვა. იმედი მაქვს, საზღვრები რომ გაიხსნება, მუშაობა დაიწყება და იქნებ ეს ერთი მაღაზია მაინც გადავარჩინო“, – მიყვება ბულვარში ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე თამარ ქადაგიძე, რომელიც სუვენირებითა და საზღვაო აქსესუარებით ვაჭრობს.

კრიზისის მიუხედავად, ბათუმის მაღაზიებსა და კაფეებში ფასები არ იცვლება: ბულვარში წყალი (500 მლ) 3 ლარი ღირს, შეზლონგის დაქირავება 3 ლარიდან იწყება, განსხვავებული ფერი 5 ლარია, ქოლგის ქირაობისას კი კიდევ 3 ლარი ემატება. შეზლონგებს შორის დისტანცია დაცული არ არის, არც დეზინფექცია უტარდება. მთელი დღე მზეზე დევს და მზე ბაქტერიებს კლავსო, თავს იმშვიდებენ გამქირავებლები. ამის მიუხედავად, მათ მაინც ითხოვენ – საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დამსვენებელს ქვაზე წოლას შეზლონგი ურჩევნია. ზოგი თვითონ წმენდს სპირტით, ზოგი კი ცოტა ხნით ივიწყებს კორონავირუსის არსებობას. სანაპირო ზოლისგან განსხვავებით, სიმკაცრეა კაფე-ბარებსა და მაღაზიებში – თერმოსკრინინგი ტარდება და პირბადით სიარულსაც მკაცრად ამოწმებენ. აქაურები, ძირითადად, დამსვენებლებისგან იცავენ თავს – ეშინიათ, მათ არ ჩამოიტანონ ვირუსი. საღამოობით კაფე-ბარები თითქმის ცარიელია, მაგრამ რამდენიმე რესტორანი კლიენტს ვერ აუდის – თითქოს ყველა, ვინც ბათუმში ჩავიდა, იქ იყრის თავს. რამდენიმედღიანი დაკვირვების შემდეგ მივხვდი, რომ ამის მიზეზი ფასი და ხარისხია. როგორც იტალიური რესტორნის თბილისელმა მენეჯერმა მითხრა, მისაღები ფასებისა და ხარისხის გამო რესტორანში მუდმივად ჰყავთ კლიენტი, თვითონ მენეჯერი კი თბილისში უმუშევარი დარჩა და ბათუმში გადმოინაცვლა.

# გია ვოლსკი: „წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილი ვა-ბანკზე წავიდა“

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გიორგი ვოლსკის განცხადებით, წინასაარჩევნოდ, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვა-ბანკზე მიდის და მას აღარ სჭირდება დამატებითი ბალასტი და იდეური მოწინააღმდეგე.



როგორც გიორგი ვოლსკიმ გაერთიანებული ოპოზიციის რიგებში მიმდინარე პროცესებზე საუბრისას განაცხადა, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკა, საკუთარი გადმოსახედიდან, დალაგებული და გეგმაზომიერი იყო.

– გარკვეული პერიოდის განმავლობაში მან გამოიყენა გაერთიანებულ ოპოზიციაში შემოსული სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები, კონკრეტული ადამიანები და პოლიტიკური ძალები. დღეს, რასაკვირველია, მათ გარეშე სურს გზის გაგრძელება და არავის უთქვამს, რომ სააკაშვილი არ ყოფილა ან არ არის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი.

რაღაც ერთი პერიოდი თითქოს ჩრდილში გადაიყვანეს, როდესაც ფიქრობდნენ, რომ თავისი ელექტორალური რესურსი წინ წამოეწიათ და ჩამოშორებოდნენ იმ სისხლიან წარსულს, რომელიც სააკაშვილის პერიოდში იყო. დღეს უკვე მოვიდა წინასაარჩევნო პერიოდი და სააკაშვილს ეს აღარ აინტერესებს, წასულია ვა-ბანკზე და, რასაკვირველია, მას აღარ სჭირდება დამატებითი ზოგი ბალასტი, რომელსაც თავად ბალასტად მიიჩნევს, ზოგი კიდევ იდეური მოწინააღმდეგე, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

# რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის მიმოსვლა ერთდროულად გაიხსნა

## აფხაზი მედიკოსები: „ჯანდაცვის უწყებისთვის საზღვრის ერთდროულად გახსნა მოულოდნელობა აღმოჩნდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**1 აგვისტოს შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც საზღვარი გაიხსნა, ოკუპირებული აფხაზეთი უმძიმეს ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაშია. საკურორტო რეგიონს ფსოუდან უამრავი დამსვენებელი და ექსკურსანტი მოაწყდა. მათი მდგომარეობის სრულყოფილი კონტროლი შეუძლებელია. აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემას საკუთარი პრობლემები დაუგროვდა — საზღვრის გახსნამდე იქ კოვიდ 19-ით ინფიცირებული 14 ახალი პაციენტი გამოავლინეს და ინფექციის გავრცელების რისკის გამო, დაიხურა აფხაზეთის მეორე საავადმყოფო.**



რუსეთს საკუთარი მოქალაქეებისათვის აფხაზეთისკენ ჩაკეტილი გზა რომ უნდა გაეხსნა, ადრევე ცნობილი იყო. ცოტა ხნის წინ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩამოსულმა როსპოტრებნადზორის დელეგაციამ ჩაატარა მონიტორინგი, რის შემდეგაც დაასკვნა, რომ აფხაზეთში სიტუაცია სტაბილურია.

აფხაზეთში შემზღუდავი ნორმები 5 აგვისტომდე იყო დაწესებული. მიუხედავად ამისა, ოკუპირებული რეგიონის ხელისუფლებამ ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა და დაემორჩილა რუსეთის პრემიერის გადაწყვეტილებას 1 აგვისტოს ფსოუზე საზღვრის ორმხრივად გახსნის თაობაზე.

– უწყებისათვის საზღვრის ერთდროულად გახსნა მოულოდნელობა აღმოჩნდა. ადრე ხელისუფლება განიხილავდა შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნას. იყო მსჯელობა იმაზე, რომ აფხაზეთში შემოსულებს უნდა წარმოედგინათ ცნობები კორონავირუსის არქონის შესახებ, – ითქვა საჩქაროდ მოწვეულ თათბირზე.

აფხაზეთის ჯანდაცვის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ არ იყო მზად საზღვრის ერთდროული გახსნისათვის. საზღვრის გახსნის წინ აფხაზეთში კორონავირუსის აფეთქება მოხდა. საავადმყოფოები გავსებულია ადგილობრივი მოსახლეობით. მედიკოსებს გაუჭირდებათ უცხო ქვეყნების მოქალაქეების მომსახურება.

პირველივე დღე-ღამეში აფხაზეთში შემოვიდა 5000-ზე მეტი კაცი, ხოლო აფხაზეთიდან რუსეთში გავიდა 2500-ზე მეტი მოქალაქე.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია იძულებული გახდა, მიემართა საზოგადოებისათვის. მან ყველას სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების დაცვისკენ მოუწოდა.

– მადლობას ვუხდით რუსეთის ხელმძღვანელობას მიღებული გადაწყვეტილებისათვის. ის დადებითად იმოქმედებს ეკონომიკურ სიტუაციაზე

### ბჟანია საზოგადოებას სიფრთხილისკენ მოუწოდებს

ქვეყანაში. მოგმართავთ თხოვნით, დაიცვათ სიფრთხილის ზომები და შეასრულოთ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები. ზომები უნდა დაიცვათ ყოფაში, ყველა დაწესებულებაში, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, სასტუმროებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონებში, – აღნიშნა ბჟანიამ.

აფხაზეთის ტურიზმის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჩამოსულებს მოეთხოვებათ ნიღბების ტარება, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მარაგის ქონა და სოციალური დისტანციის დაცვა.

რუსი დამსვენებლების და ზოგადად წესრიგის დასაცავად მოემზადა აფხაზეთის შსს. ქალაქებისა და რაიონების პოლიციის სამმართველოები გაძლიერებული მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანეს.

ეკონომიკური უსაფრთხოებისა და კორუფციასთან ბრძოლის სამმართველოს დაევალა სურსათით ვაჭრობისა და ყველა სახის მომსახურების ხარისხის კონტროლი.

რუსეთიდან ჩამოსულ პენსიონერებს კი, რომლებიც ბანკომატიდან პენსიის აღებას მოინდომებენ, ვერავინ ვერაფრით დაეხმარება.

აგვისტოდან აფხაზური და რუსული პენსიების ამღებებს მხოლოდ ბანკების სალაროები მოემსახურებიან. ბანკომატებით ისინი ვერ ისარგებლებენ. ეს გადაწყვეტილება ასე აიხსნება – ხელახალ რეგისტრაციამდე შეიძლება პენსიონერი გარდაიცვალოს. ხშირია შემთხვევები, როცა გარდაცვლილის პენსიას ახლობლები იღებენ.

ბანკომატები წვრილმანია იმ დიდი პრობლემების მორევში, რომლებსაც სამედიცინო, საფინანსო, ეკონომიკურ, კრიმინოგენულ და სხვა სფეროებში აწყდება ოკუპირებული რეგიონი.



# თამარ ბაჩალიაშვილის ცხედარს ფეხსაცმელი არ ეცვა



საინფორმაციო სააგენტო ინფო რუსთავის ინფორმაციით, მაშინ, როცა თამარ ბაჩალიაშვილი მაწევანის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთარი ავტომობილის უკანა სავარძელზე გარდაცვლილი იპოვეს, მას ფეხსაცმელი არ ეცვა.

ის, რომ გარდაცვლილს ფეხსაცმელი არ ეცვა, ჩანს მისი ცხედრის ავტომობილიდან გადმოსვენების ამსახველ ვიდეოკადრებშიც.

ინფო რუსთავს აღნიშნული ფაქტი ბაჩალიაშვილების ოჯახის ინტერესების დამცველმა მიხეილ რამიშვილმაც დაუდასტურა.

— თამარს ნამდვილად არ ეცვა ფეხსაცმელი. მანქანაშია ნაპოვნი მისი ბოტასები, — განუცხადა ინფო რუსთავს მიხეილ რამიშვილმა.

ბაჩალიაშვილების ოჯახის ადვოკატს, ჯერჯერობით უჭირს რაიმეს თქმა ან ვერსებზე საუბარი, თუ რატომ არ ეცვა თამარ ბაჩალიაშვილს ფეხსაცმელი, როდესაც ის საკუთარ ავტომობილში გარდაცვლილი ნახეს.

თეონა თამაზაშვილის თქმით, მისი ემოციური ფონის გამო, მას არც ცხედარი და არც შემთხვევის ადგილზე ცხედრისთვის გადაღებული ფოტოები არ უნახავს. მისივე თქმით, შვილის ცხედარი მამამ ნახა, თუმცა შოკურ მდგომარეობაში იყო და ვერ გაარჩია ვერაფერი და ცხედარიც ვერ ამოიცნო.

თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახი აპირებს გამოძიებაში ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) ჩართვა მოითხოვოს.

ამის შესახებ თეონა თამაზაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ის აშშ-ის ელჩს პირადად მიმართავს.

— მე, ალბათ, გფბ-ს ჩართულობას მოვითხოვ. უშუალოდ მივმართავ ელჩს. თუ პროკურატურა უარს გვეტყვის, ეს ცხადზე ცხადი იქნება, რომ არ აწყობთ და თვითონ არიან დამნაშავეები, — განაცხადა თამარ ბაჩალიაშვილის დედამ.

# დავით ქაშიაშვილი: „გამოძიებისთვის დამატებით არც ერთი დეტალი არ მითქვამს“

ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტმა დავით ქაშიაშვილმა, რომელიც თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით საგამოძიებო უწყებაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა, განაცხადა, რომ გამოძიებისთვის დამატებითი დეტალები არ მიუწოდებია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს წყაროს გამჟღავნების საფრთხე, ხოლო მისი პროფესიული ვალდებულებაა, წყაროს კონფიდენციალობა დაიცვას.

— დამატებით არც ერთი დეტალი მე არ მითქვამს, ვისარგებლე ჩემი პროფესიული ვალდებულებითა და ეთიკით, იმიტომ, რომ არსებობს ძალიან მაღალი საფრთხე წყაროს გამჟღავნებისა. ოქმში ჩვენი სურვილი დავაფიქსირეთ ჩემი ხელმოწერით და დავტოვეთ საგამოძიებო უწყებაში. წყარო არის სანდო, გადამოწმებული და არის საგამოძიებო უწყებიდან.

კითხვა არ დასმულა, მე და ადვოკატმა განვუმარტეთ, რომ მიზეზთა გამო დამატებით ინფორმაციას ვერ გავცემდით. ამ ინფორმაციის გაცემის საშუალება რომ მქონოდა, ჩვენსავე რეპორტაჟში მოვყვებოდით. მთელი რიგი საკითხები წყაროს მიერ მოწოდებული, ეთერში შეგნებულად არ მოვყევით, — განაცხადა დავით ქაშიაშვილმა.




დავით ქაშიაშვილის ადვოკატმა შოთა კახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალისტი არ არის ვალდებული, გამოძიებას ინფორმაცია მიაწოდოს იმის შესახებ, რაც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს.

მისივე თქმით, შესაბამისად, დავით ქაშიაშვილი ამ პრივილეგიით სარგებლობას აპირებს.

ჟურნალისტის ვერსიის თანახმად, ბაჩალიაშვილი ფლობდა კონფიდენციალურ ინფორმაციას სამ მაღალჩინოსანთან დაკავშირებით, თუმცა ვინ არიან ეს პირები, ამ დრომდე გასაიდუმლოებულია.

# დააკავეს ნარკომოვაჭრეები, რომელთა შემოსავალმა წელს 2 მილიონი შეადგინა




შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ფონიჭალის დასახლებასა და გარდაბანში ორგანიზებული ჯგუფის 4 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან: 1976 წელს დაბადებული ფ.ბ., 1978 წელს დაბადებული დ.ჯ., 1982 წელს დაბადებული შ.ვ. და 1977 წელს დაბადებული ა.მ.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს შემუშავებული ჰქონდათ ნარკოტიკების რეალიზაციის დანაშაულებრივი სქემა, რომლის საშუალებითაც ისინი ფინანსურ რესურსებს მართავდნენ ინტერნეტ ტოტალიზატორის გამოყენებით. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას კი ე.წ. „დადების“ მეთოდით ახდენდნენ. კერძოდ, დ.ჯ. და ფ.ბ. დაინტერესებულ პირებს სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, გარკვეული თანხის სანაცვლოდ სთავაზობდნენ ნარკოტიკების შეძენას, აწვდიდნენ ონლაინ ტოტალიზატორის ანგარიშის ნომრებს, თანხებს არიცხვინებდნენ, ხოლო ამის შემდეგ აწვდიდნენ ლოკაციების მისამართებს, სადაც ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ უკვე განთავსებული იყო ნარკოტიკული საშუალებები.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მიმდინარე წლის მანძილზე, ონლაინ ტოტალიზატორის ანგარიშის გამოყენებით ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა თანხამ ორ მილიონამდე ლარი შეადგინა.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებულების საცხოვრებელი სახლების და ავტომანქანის ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, დიდი ოდენობით თანხა, ასევე, მათი კუთვნილი მობილური ტელეფონები და საბანკო ბარათები ნივთმტკიცებად ამოიღო.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-6 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

# ჩოხატაურში ფორდი ხეს შეასკდა

## მძღოლი დაიღუპა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ჩოხატაურში — ცენტრალურ გზაზე მოძრავმა ფორდის ტიპის მიკროავტობუსის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხეს დაეჯახა. შემთხვევა სოფელ გორაბერეჟოულში მოხდა.

შემთხვევის შედეგად დაიღუპა ფორდის მძღოლი — შუახნის მამაკაცი. კურიერის ინფორმაციით, ის ბათუმში ცხოვრობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით.

# გოგი თოფაძე: „ბუსა ჟვანიამ პასუხი უნდა აგოს, მოლაპარაკება გამორიცხულია!“





თოფაძეების ოჯახის ადვოკატის, გიორგი ანთაძის განცხადებით, ლევან თოფაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, რის გამოც ამ ეტაპისთვის რაიმე საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და დაზარალებულის გამოკითხვა შეუძლებელია. ადვოკატის ინფორმაციით, დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მოტივთან დაკავშირებით არაერთი ინფორმაცია გავრცელდა, თუმცა დაზარალებულის გამოკითხვამდე ამას რაიმე საფუძველი არ გააჩნია.

— მე როგორც ვიცი, ჟვანიასაც აქვს დაზიანება მიღებული, მაგრამ თვითონ მიიყენა თუ სხვა პირმა მიაყენა, ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მაქვს, ლევანს არავისთვის არ მიუყენებია ჭრილობა. ამ მომენტისთვის ლევანის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის სტაბილური, მძიმე ოპერაცია გადაიტანა, თუმცა მისი გამოკითხვა ჯერ არ იგეგმება, რადგან ამ მომენტისთვის შეუძლებელია, ფიზიკურად რაიმე საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს, მათ შორის, გამოკითხვა. ჩემი ინფორმაციით, ჟვანიაც არ გამოკითხულა.

ამ ეტაპზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს, რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა დადგინდეს მოტივი, მიზანი, რაც შეიძლება ამ ინციდენტის მიზეზი ყოფილიყო. ძალიან ბევრი ვერსია გავრცელდა მოტივთან დაკავშირებით, მაგრამ ამას ამ ეტაპზე არანაირი საფუძველი არ აქვს, სანამ თავად დაზარალებული არ გამოიკითხება და არ გამოიკითხებიან სხვა პირები, რომლებიც იქ იყვნენ, — განაცხადა გიორგი ანთაძემ.

გოგი თოფაძის განცხადებით, ბუსა ჟვანიასთან მოლაპარაკებები არ ექნება და მან ჩადენილთან დაკავშირებით პასუხი უნდა აგოს.

— 12:00 საათზე მივედი, ჩემი შვილიშვილი უკეთ იყო, გამოაცალეს რაღაცები, რამდენიმე წუთი ველაპარაკე, მითხრეს, ხვალ და ზეგ სიტუაცია გამოსწორდება და აღარავითარი რისკი არ გვექნებაო.... მთავარია, ჩემი შვილიშვილი ამ ეზოში, სახლში კინაღამ მოკლეს. მერე ის კაცი გამოიქცა, ყველამ კარგად იცის, რაც გააკეთა და აგოს პასუხი. მირეკავენ ვიღაცები, ყველასთან დავამთავრე საუბარი, რაც მოხდა, იმაზე აგოს პასუხი, მით უმეტეს, პირველი შემთხვევა ეს არ არის. არავითარი მოლაპარაკება მაგასთან არ მექნება.

ის კაცი, ვინც ეს ჩაიდინა, ჯერ საავადმყოფოში მოვარდა დილის 08:30 საათზე, შევარდა, ვითომ დაჭრილია, გაიკეთა დიდი რაღაც, მერე საღამოს კიდევ მოვიდა, ექიმიც მოიყვანა და კიდევ დაწვა საავადმყოფოში. რატომ? რომ გადარჩეს, მაგრამ ვერ გადარჩება, — განაცხადა თოფაძემ.

ლევან თოფაძის დაჭრის ფაქტზე დაკავებულია ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას შვილი ბუსა ჟვანია. დაჭრილია თავად ჟვანიაც.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ლევან თოფაძეს მისსავე საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ცივი იარაღით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# გიორგი მერაბიშვილის ადვოკატი: „დაზარალებულების ჩვენებებში ცდომილებებია“

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე ბრალდებული გიორგი მერაბიშვილის ადვოკატის, როსტომ კერესელიძის განცხადებით, დაზარალებულის სტატუსით მყოფი პირების ჩვენებებში გარკვეული ცდომილებებია.

ადვოკატის განმარტებით, ის ფაქტი, რომ შემთხვევიდან თვეზე მეტის გასვლის შემდეგ, დაზარალებულის სტატუსის მქონე პირები „რაღაც დეტალებს“ იხსენებენ, აჩენს ეჭვს, რომ ეს მოწმეები „არიან მომზადებულები საპროცესო მოწინააღმდეგე მხარის მიერ“, რათა გამყარდეს პოზიცია გიორგი მერაბიშვილის ბრალთან დაკავშირებით.

— ის, რომ მათ ჩვენებებში არის გარკვეული წინააღმდეგობები და აცდენები, ეს, გარკვეულწილად, მათ სანდოობაზე მეტყველებს, რაც სამომავლოდ, ალბათ, გასათვალისწინებელი იქნება სასამართლო განხილვის დროს. ძირითადად, მე მხედველობაში მაქვს იმ დაზარალებულების ჩვენებები, თითქმის ყველასი, ვინც არიან — ღიბრაძე, ქათამაძე, ახვლედიანი, ამირხანაშვილი. თუ არ ვცდები, იაკობ ბრეგვაძის მიმართ არის ნაკლები პრეტენზია გიორგი მერაბიშვილთან შემხებლობაში.

გარკვეული დეტალები საქმესთან დაკავშირებით ერთ ჩვენებაში არ არის ნახსენები, მეორე შემთხვევაში, ერთი თვის მერე ჩვენებაში არის ნახსენები. დასახელებულია ზუსტად სახელები და გვარები ანუ ის დეტალები ერთ თვის მერე ახსენდება ადამიანს მაშინ, როდესაც პირიქით, შემთხვევიდან, ალბათ, რაც უფრო ნაკლები დროა გასული, ადამიანის მეხსიერებაში უფრო მკვეთრად არის ეს ფაქტები შემონახული.

აქედან გამომდინარე, ის, რომ თვეზე მეტის შემდეგ, ადამიანი იხსენებს თითქოს და რაღაც დეტალებს, რაც ხელს უწყობს პირდაპირ პროკურატურის პოზიციის გამყარებას ძალადობასთან დაკავშირებით, ეს პირდაპირ ეჭვს აჩენს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მოწმეები არიან მომზადებულები, სავარაუდოდ, რა თქმა უნდა, ჩვენი საპროცესო მოწინააღმდეგე მხარის მიერ, რომ გამყარდეს პოზიცია გიორგი მერაბიშვილის ბრალთან დაკავშირებით, — განაცხადა როსტომ კერესელიძემ.

# გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავეს. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაული სასჯელის 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელსაც სამსახურებრივად ევალებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ხეტყის ტრანსპორტირებაზე კონტროლის განხორციელება, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, უკანონოდ მოპოვებული ხის მასალის წარმომავლობის შესანიღბად, ტრანსპორტირებისათვის საჭირო, ყალბი სასაქონლო ზედნადების დამზადებისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საგუშაგოზე უპრობლემოდ გატარების სანაცვლოდ, მოქალაქეს მოსთხოვა და გამოართვა 5.400 ლარი, რა დროსაც მოხდა მისი დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით“ — აღნიშნულია ინფორმაციაში.

# შავშვებთან მინივენი აუდის შეეჯახა

## 8 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 5 ბავშვია

სოფელ შავშვებთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 8 ადამიანი დაშავდა, მათგან 5 მცირეწლოვანი ბავშვია. ერთმანეთს სამგზავრო მინივენი და აუდის მარკის მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა. ავარიის შედეგად დაშავებული 8-ვე მგზავრი სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა კლინიკა გორმედში გადაიყვანეს. გორმედის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მერაბ მაისურაძის ინფორმაციით, არც ერთი მათგანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

— სასწრაფო დახმარების ჯგუფების მიერ შემოყვანილია 8 პაციენტი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც. დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, არც ერთი მათგანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამ ეტაპზე პაციენტებს უტარდებათ გამოკვლევები. ყველა კვლევის დასრულების და შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდგომ, სავარაუდოდ, ყველა პაციენტი დატოვებს კლინიკას, — განაცხადა მერაბ მაისურაძემ.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას (რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია) გულისხმობს.

2020, 4 აგვისტო, №164

# პოლონეთმა გაზპრომი 57 მილიონი დოლარით დააჯარიმა




პოლონურმა ანტიმონოპოლიურმა რეგულატორმა რუსული „გაზპრომი“ გაზსადენ ნორდ სტრიმ 2-ის საქმეში თანამშრომლობაზე უარის გამო 213 მილიონი ზლოტით (57 მილიონი აშშ დოლარი) დააჯარიმა.

რეგულატორის განმარტებით, საქმე ეხება გამოძიებას, რომელიც გაზსადენის მშენებლობის რეგულატორის თანხმობის გარეშე დაფინანსებას ეხება.

„შარშან გაზპრომისგან საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოვითხოვეთ, მაგრამ კომპანიამ უარი თქვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებაზე. ჩვენი აზრით, ეს არის მიზანმიმართული ქმედება, რომლის მიზანი მიმდინარე გამოძიებისთვის ხელის შეშლა იყო“ – ნათქვამია რეგულატორის ხელმძღვანელის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პოლონეთი მიიჩნევს, რომ ნორდ სტრიმ 2 ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის და აცხადებს, რომ პროექტი გაზპრომის ბაზარზე დომინირებას შეუწყობს ხელს.

# ნიაზ დიასამიძე: „თუ სამშობლოს რაღაც აკლია, სხვისი კი არა, ჩვენი ნაკლია“



მომღერალი ნიაზ დიასამიძე პატარა ლექსით ეხმაურება ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ მდგომარეობას:

– ერთად სამი მართებული პრიორიტეტი ნებისმიერი დასახლებული პუნქტისთვის უნდა იყოს ქვეითი! ველო! საზოგადოებრივი. ტრანსპორტი! ჩემი აზრით, ჭავჭავაძის გამზირის ამჟამინდელი დაგეგმარება სწორი პასუხია ამ პრიორიტეტების განსახორციელებლად. ცოტაა, მაგრამ კარგია.

პ.ს. ველოში იგულისხმებიან სხვა ორ და ერთბორბლიანი გადაადგილების უმოტორო საშუალებანი. მეტი ჟანგბადი მომავალ თაობას!

რაც შეეხება დემოკრატიას, არ მივანდობდი არცერთ პარტიას, და თუ სამშობლოს რაღაც აკლია?! სხვისი კი არა, ჩვენი ნაკლია.

# რუსთავის თეატრი პრემიერას ღია ცის ქვეშ ითამაშებს

4 აგვისტოს გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრში პრემიერაა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი სოსო ნემსაძე მაყურებელს ღია ცის ქვეშ, თეატრის ეზოში ახალი სპექტაკლის სანახავად ეპატიჟება. „შექსპირ-ბადე“ – ასე ეწოდება წარმოდგენას, რომელიც შექსპირის ჯადოსნურ სამყაროს და მსოფლიო პანდემიას – კოვიდ 19-ს აერთიანებს.

# ვის მისცემენ პირველად კორონავირუსის ვაქცინას?!



აშშ-ის ეროვნული ჯანდაცვის ინსტიტუტის დირექტორმა, დოქტორმა კოლინზმა განაცხადა, რომ უკვე სექტემბრის ბოლოს აშშ-ს კორონავირუსის ვაქცინა ექნება. ისმის კითხვა, მოსახლეობის რომელ ფენას დაურიგებენ მას პირველად?

– უწინარეს ყოვლისა, ესენი იქნებიან მედიცინის მუშაკები, აგრეთვე მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენები, – თქვა კოლინზმა.

დოქტორმა განაცხადა, რომ ასეთი მიდგომა შესაძლოა ბევრს არ მოეწონოს, მაგრამ ამას მოითხოვს სამართლიანობა და ამიტომ ასე იქნება.

# ნინო რამიშვილის ისტორია „ვერის უბნის მელოდიებში“ გაცოცხლდა



ანსამბლ „სუხიშვილების“ ერთ-ერთი დამაარსებლის ნინო რამიშვილის ცხოვრებიდან ერთ-ერთი ისტორია გიორგი შენგელაიას ფილმში „ვერის უბნის მელოდიები“ გაცოცხლდა.

როდესაც ნინო რამიშვილის ოჯახი საცხოვრებლად ბაქოდან თბილისში გადმოვიდა, ის და მისი და – თამარი მშობლებმა ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ მარია პერინის საბალეტო სკოლაში მიიყვანეს.

ნინო და თამარი ძალიან ნიჭიერები აღმოჩნდნენ და კარგადაც ცეკვავდნენ, თუმცა დედას აღარ ჰქონდა ფინანსური საშუალება თავისი ორი ქალიშვილი ფასიან სტუდიაში ეტარებინა, ამიტომ გოგონების სტუდიიდან გამოყვანის გადაწყვეტილება მიიღო.მარია პერინი თვითონ მივიდა რამიშვილების ოჯახში და გოგონების დედას უთხრა, არ მინდა თქვენი ფული, ოღონდ ამ ორმა გოგომ სტუდიაში იაროს და ცეკვას უფასოდ ვასწავლიო. სწორედ ეს ისტორია გამოიყენა გიორგი შენგელაიამ თავის მიუზიკლში, როდესაც მედროგე პავლეს შვილებს კახი კავსაძისა და ალისა ფრეინდლიხის გმირები სახლში ეწვივნენ და ცეკვის სტუდიაში მიიწვიეს.

# მოსკოვში მედესანტეებმა და პოლიციელებმა იჩხუბეს



რუსეთში მედესანტის დღე აღნიშნეს. ტრადიციულად მედესანტეებმა მაგრად მოულხინეს, შემდეგ კი ქალაქის სკვერებში დაიწყეს ბანაობა. ეს კარგა ხანია ტრადიციად იქცა, ამიტომ პოლიციას ამისთვის ხელი არ შეუშლია.

მიუხედავად ამისა, ექსცესი მაინც მოხდა. მოსკოვში, გორკის პარკში, პოლიციელმა სცადა, დაეკავებინა მთვრალი მედესანტე, რომელმაც იქ მყოფ გოგონას უხამსი წინადადება მისცა. გოგონას მისი კავალერი გამოესარჩლა. მედესანტემ მას სახეში გაარტყა. პოლიციელმა ხულიგნის დაკავება სცადა. ხანმოკლე ჭიდილის შედეგად მან მედესანტე ძირს დასცა და ხელები გადაუგრიხა.

– ბიჭებო, მიშველეთ! ძაღლები მცემენ! – აღრიალდა მიწაზე გაშხლართული რუსი ჯარისკაცი.

ყვირილზე სხვა მედესანტეებმა მოირბინეს. მათი დანახვისთანავე პოლიციელი გაიქცა. მედესანტეები მას არ დადევნებიან. პოლიციელმა დაიგულა თუ არა თავი უსაფრთხოებაში, რაციით მაშველი ძალა გამოიძახა. მალე გორკის პარკში ომონი მივიდა. მათ მედესანტის დაპატიმრება სცადეს. ატყდა ჩხუბი, რომელშიც ორივე მხრიდან 10-15 კაცი მონაწილეობდა. ომონელებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ეს დროებითი აღმოჩნდა. მალე პოლიცია როსგვარდიის თანხლებით გორკის პარკში დაბრუნა. ჩხუბიც განახლდა.

ორივე მხრიდან არიან დაზარალებულნი. დაკავებულია 4 მედესანტე.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თბილისში უნიკალური მოპარული ბუხარი 5.000 დოლარად იყიდებოდა



თბილისში, პაოლო იაშვილის ქუჩაზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლის საერთო დერეფანში მდგარი უნიკალური ბუხარი მოიპარეს, ერთ-ერთ მაღაზიაში 5 ათას დოლარად შეაფასეს და გასაყიდადაც გამოიტანეს. ნატა ფერაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციით შსს დაინტერესდა და აღნიშნულ ქურდობაზე გამოძიება დაიწყო:

– ბუხარი იაშვილის ქუჩაზე, სახელმწიფოს კუთვნილ, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლის საერთო დერეფანში, მანამ ერთ-ერთ მაღაზიაში აღმოჩნდებოდა.

დააბრუნეთ თავის ადგილზე! ვეტყვი შსს-ს, სადაც დევს გასაყიდად 5000 დოლარად!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მსუბუქი თვითმფრინავი ქალაქის ქუჩაში ჩამოვარდა

ბრაზილიის სანტა-კატარინას შტატის ქალაქ გუაბირუბაში მსუბუქი თვითმფრინავი ქუჩაში ჩამოვარდა და ავტომობილები და ფეხით მოსიარულეები მასთან შეჯახებას სასწაულებრივად გადაურჩნენ.

ინციდენტი საჩვენებელი ფრენის დროს მოხდა, რომელიც თვითმფრინავის მყიდველის დაჟინებული მოთხოვნით განხორციელდა. დაახლოებით 500 მეტრის სიმაღლეზე თვითმფრინავის ძრავა გაითიშა და მან სიმაღლის დაკარგვა დაიწყო. ავარიული დაშვების დროს თვითმფრინავი მავთულებს წამოედო და გზის სავალ ნაწილზე დაენარცხა.

ვარდნის დროს თვითმფრინავი გადატრიალდა, მისი ერთი ფრთა, ძრავა და პროპელერი დაიმსხვრა, თუმცა მისი კაბინა თითქმის არ დაზიანებულა. მაშველთა გასაკვირად, პილოტიც და მგზავრის სავარძელში მჯდომი მყიდველიც ცოცხლები გადარჩნენ და თვითმფრინავიდან გამოსვლა დამოუკიდებლად მოახერხეს.

ორივე დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. ავიაკატასტროფის შედეგად პილოტმა რამდენიმე მსუბუქი გარეგანი დაზიანება მიიღო, თუმცა, ამავე დროს, ექიმები ვარაუდობდნენ, რომ მას ნეკნების მოტეხილობა და შიდა სისხლდენა ჰქონდა. რაც შეეხება მგზავრს, მას სახე ჰქონდა დასერილი და კისრის არესა და ფეხებში ტკივილს უჩიოდა, ექიმები კი ასევე ყბის მოტეხილობას ვარაუდობდნენ.

# მაიმუნები ქალაქს შეესივნენ და პოლიციელები დაამარცხეს



პოლიციელებმა მშიერი მაიმუნების ურდოებთან დაპირისპირებაში, რომლებიც ტაილანდის ქალაქ ლოპბურის შეესივნენ, საკუთარი უძლურება აღიარეს.

ლოპბურის ქუჩები მაკაკების ნაკლებობას არასოდეს უჩიოდნენ, თუმცა ბოლო დროს მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ვითარება მას შემდეგ დამძიმდა, რაც კორონავირუსის პანდემიის გამო ქალაქი ტურისტებისგან დაცარიელდა. ამჟამად ქალაქში, რომელშიც 70 ათასი ადამიანი ცხოვრობს, სულ მცირე, 8,4 ათასამდე მაიმუნი ბინადრობს.

მაიმუნები ისაკუთრებენ ცარიელ სახლებს, ანადგურებენ ვიტრინებს, იპარავენ საკვებს და თავს ესხმიან ადამიანებს. ამ ყოველივეს შედეგად, იმ რაიონებში, რომლებიც მაიმუნების შემოსევისგან განსაკუთრებულად დაზარალდნენ, დაიხურა მაღაზიები, მუსიკალური სკოლა, კინოთეატრი და სილამაზის სალონები.

ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, ის შეესწრო, თუ როგორ დაესხნენ მაკაკები თავს პროდუქტებით დატვირთულ სატვირთო ავტომობილს. ამას პოლიციელები შეესწრნენ და რამდენიმეჯერ ცადეს მაიმუნების თავდასხმის მოგერიება, თუმცა ბოლოს იძულებული გახდნენ, დანებებულიყვნენ და შორიდან ედევნებინათ თვალი, თუ როგორ ძარცვავდნენ მანქანას ცხოველები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ბართომეუ: „მჯერა, რომ მესი სიტყვას შეასრულებს“




ესპანურ მედიაში გამოქვეყნდა ინტერვიუ ბარსელონას პრეზიდენტ ხოსეპ მარია ბართომეუსთან, სადაც კლუბის ამჟამინდელ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

ბართომეუმ ყურადღება ასევე არტურის გარშემო არსებულ გაურკვევლობაზე, მესიზე და ანსუ ფატის კონტრაქტზე გაამახვილა.

**ხოსეპ მარია ბართომეუ:**

– არტურის მსგავსი საქციელი, პირველ რიგში, თანაგუნდელების უპატივცემულობაა, მაშინ, როდესაც გუნდს ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით ასპარეზობა უნდა. ჩვენ არტურის წინააღმდეგ სარჩელს შევიტანთ, რადგან მის საქციელს გამართლება არ მოეძებნება. დარეკა და თქვა – მე არ დავბრუნდები, ბრაზილიაში ვრჩები. ამის უფლება მისთვის არავის მიუცია. არტურს უკეთესი კონტრაქტის პირობები ჰქონდა სხვებისაგან, რის მსგავსსაც ჩვენ ვერ შევთავაზებდით. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სატრანსფერო ოპერაციებზე მუშაობა.

ბოლო დროს ასევე დიდი აჟიოტაჟია ატეხილი კიკე სეტიენის მიმართ და მის ნაცვლად გუნდი უკვე რამდენიმე სპეციალისტს დაუკავშირეს.

– მწვრთნელის შეცვლაზე საერთოდ არ გვიფიქრია. ვიცი, რომ გარკვეული ინფორმაცია ვრცელდებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ, თუ სეტიენი 2 თამაშს ვერ მოიგებდა, მას პიმიენტათი ჩავანაცვლებდით. თუმცა, ეს საკითხი არც კი განხილულა.

ბართომეუ ამბობს, რომ ჯერ სხვა მწვრთნელებმა საუბარიც კი არ ჰქონიათ.

– ჯერ არავისთან არ გვისაუბრია. მათ შორის არც ლორან ბლანთან. ჩავისთან პირადად მე ვისაუბრე, მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მან თავის გუნდთან კონტრაქტი ახლახან გაახანგრძლივა. ის სწორედ მაშინ დაბრუნდება, როდესაც თავს ამისათვის მზად ჩათვლის.

ბართომეუმ ლიონელ მესის შესახებ ისაუბრა და დარწმუნებულია, რომ არგენტინელი „ნოუ კამპზე“ კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში დარჩება.

– ეჭვი არ მეპარება, რომ ლეო სიტყვას შეასრულებს და კარიერას ბარსელონაში დაასრულებს. მესი ყოველთვის ამბობს, რომ თავისი კარიერის დასრულება ბარსაში უნდა და მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი 2021 წელს იწურება, ლეოს კიდევ 3-4 წელი აქვს მაღალ დონეზე სათამაშოდ.

ბარსელონას პრეზიდენტმა კომენტარი ლაუტარო მარტინესის შესახებაც გააკეთა. ინტერის თავდამსხმელს ესპანურ გრანდს დიდი ხანია უკავშირებენ, თუმცა ბართომეუს განცხადებით, ამჟამად მოლაპარაკებები შეწყვეტილია.

– ბარსა ინტერთან ლაუტაროს თაობაზე რამდენიმე კვირის განმავლობაში საუბრობდა, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოლაპარაკება შევაჩერეთ. ახლა დიდი ინვესტიციების განსახორციელებლად შესაბამისი სიტუაცია არ არის.

კატალონიური კლუბის მთავარი იმედი ანსუ ფატია და ბართომეუს სჯერა, რომ ისიც ბოლომდე უერთგულებს ბარსელონას.

– ანსუ? ოფიციალური შემოთავაზება არ ყოფილა, თუმცა, ზოგიერთი კლუბი მის მიმართ ინტერესს იჩენდა. ბარსას პასუხი იყო არა – ანსუ არ იყიდება. ის კლუბისთვის შეუცვლელია.

ბართომეუმ, ასევე დაადასტურა, რომ კატალონიური კლუბი ნეიმარის დაბრუნებისთვის წელს აღარ იბრძოლებს.

– შექმნილ ვითარებაში, ნეიმარის დაბრუნება შეუძლებელია. ჩვენ ეს გასულ წელს ვცადეთ, მაგრამ მიმდინარე ზაფხულში ამის მცდელობა აღარ გვექნება.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**


## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს“, რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# ახალგაზრდული ნაკრები ევროპისთვის მოემზადება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იანვარში ლატვიაში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ევროპის ხელბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ტურნირის განახლებული განრიგი.

ეს შეჯიბრება, ისევე, როგორც ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი, 2020 წლის ზაფხულში უნდა გამართულიყო, მაგრამ პანდემიის გამო იანვრისთვის გადაიდო. ეროვნულ ფედერაციებს მიეცათ ხელახალი რეგისტრაციის საშუალება, რის შემდეგაც რიგაში დანიშნულ ტურნირს ერთი მონაწილე მოაკლდა: ბულგარეთმა ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვა და 10 მონაწილე დარჩა. ამის შემდეგ თავდაპირველი წილისყრით ა ჯგუფში მოხვედრილი ბელგიის ნაკრები ბ ჯგუფში გადაიყვანეს და ორივე ჯგუფში 5-5 ნაკრები ითამაშებს.

საბოლოოდ, ჩვენი მეტოქეები არიან რუმინეთი, თურქეთი, ლატვია და ბრიტანეთი, ხოლო ბ ჯგუფში არიან ბელარუსი, მაკედონია, ლუქსემბურგი, კოსოვო და ბელგია გაარკვევენ ურთიერთობას.

ჯგუფური ეტაპი 8 იანვარს დაიწყება და ჩვენები ბრიტანეთთან მატჩით გახსნიან, ნაკრები მეორე სათამაშო დღეს ისვენებს, 10 იანვარს შეხვდება თურქეთს, 11 იანვარს ტურნირზე დასვენების დღეა, 12 იანვარს ვეთამაშებით რუმინეთს, ხოლო 13 იანვარს ლატვიას.

ჯგუფების 2-2 გამარჯვებულები ბრძოლას გააგრძელებენ პირველობისთვის, მე-3-4 ადგილზე გასული გუნდები გაითამაშებენ პლეიოფს მე-5-8 ადგილებისთვის, ხოლო ჯგუფებში ბოლო ადგილზე დარჩენილი ნაკრებები მე-9 ადგილისთვის ითამაშებენ. ნახევარფინალები 15 იანვარსაა, ფინალი – 16 იანვარს. ჩემპიონატის გამარჯვებული მიიღებს 2021 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის პირდაპირ საგზურს, რომელიც აგვისტოშია ჩანიშნული.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები არიან ტიტე კალანდაძე და გიორგი სახვაძე. 2018 წელს, 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც თბილისში გაიმართა, ამ თაობის, 2000-01 წლებში დაბადებულთა გუნდმა, მე-7 ადგილი დაიკავა.

გუნდმა 2019-20 სეზონში 3 შეკრება უკვე ჩაატარა, მაგრამ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ონლაინ-ვარჯიშებს დასჯერდა, სექტემბრიდან კი მზადებას განაახლებს. ნაკრების კანდიდატთაგან რამდენიმე უცხოურ კლუბებში თამაშობს: გიორგი ცხოვრებაძე (მონპელიე, საფრანგეთი), ნიკოლოზ კალანდაძე (შამბერი, საფრანგეთი), კახა ჩადუნელი (ლემგო, გერმანია), მირიან გავაშელიშვილი (პრილეპი, მაკედონია).

ანალოგიურ, 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები 25-31 იანვარს გამართავს მაკედონიაში. თავდაპირველი მონაცემებით ამ ტურნირზე 8 გუნდი უნდა გამოსულიყო, თუმცა, ხელახალი, პანდემიის შემდგომი რეგისტრაციის შედეგები და ზუსტი განრიგი ჯერ არ გამოქვეყნებულა.

# ალეგრი ინტერისკენ მიდის, კონტეს იუვე უნდა



ანტონიო კონტემ ბოლო ინტერვიუში კლუბის ხელმძღვანელობა არასათანადო მხარდაჭერაში ღიად დაადანაშაულა, რამაც, ბუნებრივია, გარკვეული პროცესების ჩართვა გამოიწვია. იტალიური მედიის მტკიცებით, ჯუზეპე მაროტა უკვე დაუკავშირდა იუვენტუსის ექს მთავარ მწვრთნელს მაქს ალეგრის და 3-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა.

თუმცა, ნერაძურის ხელმძღვანელობაში ამ მხრივ აზრები გაყოფილია და ნაწილს არა ალეგრი, არამედ მაურისიო პოჩეტინო სურს.

გარკვეულწილად ეს სცენარი ძალიან გავს იმ პერიოდს, როდესაც კონტე წარმატებული 3-წლიანი მუშაობის შემდეგ ხელმძღვანელობას ტრანსფერების გამო დაუპირისპირდა, რის გამოც მალევე წავიდა.

კონტე კი სწორედ შეშლილმა მაქსმა შეცვალა და შესაძლოა ეს წრე კიდევ ერთხელ დატრიალდეს.

იტალიური მედიის ცნობით, კონტე ბოლო კვირების მანძილზე იუვენტუსს ეკონტაქტება. მათ შორის: ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებსა და ყოფილ ფეხბურთელებს, მათთან კონსულტაციებს მართავს და განსაკუთრებით დაინტერესებულია იუვეს ახლანდელი მწვრთნელის მაურიციო სარის მდგომარეობით. ასევე მედიის ცნობით, ეს კონტაქტები იტალიის თასის ფინალში წაგების შემდეგ განსაკუთრებით აქტიური გახდა. ხოლო, თუ იუვე ჩემპიონთა ლიგაზე ლიონის ბარიერს ვერ გადალახავს, მაურიციო სარის დიდი ალბათობით წასვლა მოუწევს.

სავარაუდოდ, კონტეც ამ მომენტს ელოდება და სწორედ ამით იყო განპირობებული მისი თავდასხმა ინტერზე.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# დილამ ლიდერობა შეინარჩუნა, ბათუმიც წაუგებელია



**საბურთალო-დილა 1:1**
**თბილისი. მიხეილ მესხი**

**1:0 ტერა (28), 1:1 სპანდერაშვილი (79)**

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, ჭიჭინაძე, კაკუბავა (გრიგალაშვილი 68), ცნობილაძე, ტერა (მაჭარაშვილი 46), ალთუნაშვილი, ტაბატაძე, ქავთარაძე, გულიაშვილი (ლუმუ 73)

**დილა:** გუგეშაშვილი, ლაცაბიძე, ხურცილავა, მაისაშვილი, იენდეუნტი, ეტოუ (ა.სანტოსი 63), ნონდი, მარკოზაშვილი (მადინგა 46), გორგიაშვილი (სპანდერაშვილი 30), ლექვთაძე, კოვტალიუკი

**გაძევება:** კოვტალიუკი (45)

ეროვნული ლიგის მე-8 ტურში საბურთალომ გათამაშების ლიდერი მიიღო და ახლოსაც იყო გამარჯვებასთან. არადა, 3 ქულის მოპოვების შემთხვევაში დილას დაეწეოდა და სატურნირო ცხრილში სამხელისუფლებიანობა იქნებოდა. თუმცა, თემურ შალამბერიძის გუნდმა ეს შანსი ვერ გამოიყენა.

პირველი ნახევარი საკმაოდ დინამიურად მიმდინარეობდა. ორივე გუნდი აქტიური იყო, ანგარიში კი 28-ე წუთზე ელვინ ტერამ გახსნა, რომელსაც იდეალური პასი გაუკეთა სანდრო ალთუნაშვილმა.

საბურთალომ პირველ ტაიმში რიცხობრივი უპირატესობაც მიიღო – არბიტრმა უხეშობისთვის გორელთა თავდამსხმელი მიკოლა კოვტალიუკი გააძევა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კოვტალიუკმა გუნდი აშკარად დაალალატა. ტაიმის დასრულებამდე წამები რჩებოდა, როდესაც სრულიად უწყინარ სიტუაციაში, მოედნის ცენტრში იუხეშა.

როგორც გამოჩნდა, კოვტალიუკი გუნდს „ხელს უშლიდა". მე-2 ტაიმში კაცნაკლულმა სტუმრებმა საბურთალოს კარის მიმართულებით შეტევებს უმატეს, მეტოქემ კი აქცენტი დაცვაზე გააკეთა და დაისაჯა კიდეც. გიორგი ნემსაძის შეგირდებს მნიშვნელოვანი ქულა ნუგზარ სპანდერაშვილმა გადაურჩინა, რომელიც გიორგი ლაცაბიძის კარგი თამაშის შემდეგ ცარიელი კარის წინ მარტო დარჩა.

საბოლოოდ ფრე და დილა ისევ წაუგებელია...

უნდა გითხრათ, რომ დილა მიმდინარე სეზონში გვაოცებს. თანაც იმის ფონზე, რომ ბოლო პერიოდში პრობლემები აქვს და მატჩებზე არასრული შემადგენლობით გადის – საბურთალოსთან განაცხადში სულ 14 ფეხბურთელი ჰყავდა.

ნამატჩევს გორელთა მთავარ მწვრთნელ გიორგი ნემსაძეს გავესაუბრეთ:

– ჩვენ გუნდს საკმაოდ რთული კალენდარი ჰქონდა. ბოლო 3 მატჩი მთავარ ფავორიტებთან ჩავატარეთ. ამ პერიოდში ტრავმების, სათადარიგო სკამზე მყოფი ფეხბურთელების სიმწირის და მოთამაშეების გაძევებების ფონზე ვითამაშეთ. სწორედ აქ დაეტყო გუნდს თავისი ბრძოლისუნარიანი ხასიათი. საბურთალოსთან სათადარიგოთა სკამზე 3 ფეხბურთელი იჯდა და ყველა მათგანმა ითამაშა. ეს მარტივი არ არის, მაგრამ მე ერთი პრინციპი მაქვს, იმის მიუხედავად, რომ მოედანზე 10 კაცით ვართ, უკან არ ვიხევთ, ცენტრს ვამაგრებთ და წინ 2 თავდამსხმელს ვტოვებთ და თუ საჭიროა, მესამესაც ვახმართ.

რაც შეეხება კოვტალიუკის ეპიზოდს, მატჩის დასრულების შემდეგ, თავიდან ვუყურე და, ჩემი აზრით, ამ მომენტში ის ყვითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამ გაძევებას ალბათ – არა.

მინდა, რომ ჩემმა გუნდმა ითამაშოს დისციპლინირებული, ბრძოლისუნარიანი და შემტევი ფეხბურთი. აუცილებელია, რომ დავიმატოთ მაღალი კლასის ფეხბურთელები, რაზეც ცხრილში ზედა საფეხურების შენარჩუნების პარალელურად, მოთხოვნა იზრდება. ეს კიდევ უფრო აამაღლებს ფეხბურთელებს შორის ჯანსაღ კონკურენციას, მოტივაციას და ვფიქრობ, ეს პირველ რიგში გუნდს დაეხმარება.

**დინამო (ბთ)-სამტრედია 2:0**
**ბათუმი. ანგისა**

**1:0 გონსალვესი (37), 2:0 გაფრინდაშვილი (90)**

**დინამო:** ალავიძე, ნავალოვსკი, კობახიძე, ობაობონა, ტეიდი, ჯილაური, გონსალვესი (თევდორაძე 90), მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ფლამარიონი (რეინალდო 84), ნიქაბაძე (გაფრინდაშვილი 67)

**სამტრედია:** კულუა, რუხაია, კილასონია, თოთაძე, ჯგერენაია, კვირკვია, ქოჩლაძე, ყურბანოვი (ინკუმი 10), მესიაჩენკო (ახალაძე 74), დისი, იმნაძე

ეროვნულ ლიგაში წაუგებელ სერიას აგრძელებს ბათუმის დინამოც, რომელმაც სამტრედიას 2:0 სძლია.

მასპინძლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში დიდი უპირატესობით დაიწყეს. პირველი ტაიმის საწყის წუთებში გია გეგუჩაძის გუნდმა რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ სამტრედიელთა მეკარე ძალიან კარგად ირჯებოდა და გუნდი რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა. გოგი კულუა სადებიუტო მატჩში დამაჯერებლად გამოიყურებოდა და თავისი გუნდის რიგებში საუკეთესო იყო. თუმცა, ბათუმელთა შეტევებს ლოგიკური გოლი მატჩის 37-ე წუთზე მაინც მოჰყვა. ვაგნერ გონსალვესმა სტუმართა კარი ულამაზესი დარტყმით აიღო.

თამაშის სცენარი დიდად არც შეხვედრის მეორე ნახევარში შეცვლილა. მატჩის მიწურულს ანგარიში უფრო დამაჯერებელი შეცვლაზე შესული თორნიკე გაფრინდაშვილის გოლით გახდა – 2:0.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დილა | 8 | 4 | 4 | 0 | 14-5 | 16 |
| 2.დინამო (თბ) | 8 | 4 | 3 | 1 | 14-3 | 15 |
| 3.დინამო (ბთ) | 8 | 3 | 5 | 0 | 12-5 | 14 |
| 4.საბურთალო | 8 | 3 | 4 | 1 | 9-6 | 13 |
| 5.თელავი | 8 | 2 | 5 | 1 | 8-5 | 11 |
| 6.ლოკომოტივი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| 7.ტორპედო | 8 | 2 | 2 | 4 | 6-12 | 8 |
| 8.სამტრედია | 8 | 2 | 2 | 4 | 6-14 | 8 |
| 9.ჩიხურა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-12 | 5 |
| 10.მერანი | 8 | 0 | 4 | 4 | 2-12 | 4 |

# შედეგები

## 2 აგვისტო

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ა**

სპალი-ფიორენტინა ........................ 1:3
ბოლონია-ტორინო ........................ 1:1
ჯენოა-ვერონა ........................ 3:0
ლეჩე-პარმა ........................ 3:4
სასუოლო-უდინეზე ........................ 0:1

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 38 | 26 | 5 | 7 | 76-43 | 83 |
| 2.ინტერი | 38 | 24 | 10 | 4 | 81-36 | 82 |
| 3.ატალანტა | 38 | 23 | 9 | 6 | 98-48 | 78 |
| 4.ლაციო | 38 | 24 | 6 | 8 | 79-42 | 78 |
| 5.რომა | 38 | 21 | 7 | 10 | 77-51 | 70 |
| 6.მილანი | 38 | 19 | 9 | 10 | 63-46 | 66 |
| 7.ნაპოლი | 38 | 18 | 8 | 12 | 61-50 | 62 |
| 8.სასუოლო | 38 | 14 | 9 | 15 | 69-63 | 51 |
| 9.ფიორენტინა | 38 | 12 | 13 | 13 | 51-48 | 49 |
| 10.პარმა | 38 | 14 | 7 | 17 | 56-57 | 49 |
| 11.ვერონა | 38 | 12 | 13 | 13 | 47-51 | 49 |
| 12.ბოლონია | 38 | 12 | 11 | 15 | 52-63 | 47 |
| 13.კალიარი | 38 | 11 | 12 | 15 | 52-56 | 45 |
| 14.უდინეზე | 38 | 12 | 9 | 17 | 37-51 | 45 |
| 15.სამპდორია | 38 | 12 | 6 | 20 | 48-65 | 42 |
| 16.ტორინო | 38 | 11 | 7 | 20 | 46-68 | 40 |
| 17.ჯენოა | 38 | 10 | 9 | 19 | 47-73 | 39 |
| 18.ლეჩე | 38 | 9 | 8 | 21 | 52-84 | 35 |
| 19.ბრეშა | 38 | 6 | 7 | 25 | 35-79 | 24 |
| 20.სპალი | 38 | 5 | 5 | 28 | 27-79 | 20 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-ჰამილტონი ........................ 5:1
ბოდო გლიმდტი-სტრომგოდსეტი ........................ 3:2

ვიკინგი-კრისტიანსუნდი ........................ 1:2
სარპსბორგი-ალესუნდი ........................ 4:0
სტარტი-მიონდალენი ........................ 3:0
ჰაუგესუნდი-სტაბეკი ........................ 3:1
ოდ ........ გრელანდი-რუსენბორგი ........................ 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰელსინბორგი-ჰამარბი ........................ 1:1
ვარბერგი-ესტერსტუნდი ........................ 1:1
გიოტებორგი-მალმიო ........................ 0:3
კალმარი-აიკი ........................ 0:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი; 2. პორტატული მფრინავი აპარატი; 3. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ქართული სპორტული რადიო; 5. კურორტი რაჭაში; 6. ნიდერლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 9. გუმბათოვანი ტაძარი ბოლნისის რაიონში; 10. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 11. კუთხე საქართველოში; 14. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 16. კომბინაცია პოკერში; 18. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 20. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 23. მდგომარეობა ჭადრაკში; 24. იამაიკელი პოპვარსკვლავი მამაკაცი; 25. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მამაკაცი; 26. კათოლიკური ღვთისმსახურება.

**თარაზულად:** 7. ძვირფასი ქვა; 8. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 13. მთამსვლელთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში; 1 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 17. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 19. მგალობელი ჩიტი; 21. ფრანგი ფილოსოფოსი; 22. ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის შესახებ; 27. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 28. გერმანული ავტომობილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კურკუაზიე; 2. ყაზბეგი; 3. სენატი; 4. დვირი; 5. ელინგი; 11. ტუნიკა; 12. ტრიერი; 14. ვალი; 16. ორაკული; 17. მარკესი; 19. ბაზალტი; 21. ჩანგი; 22. წყალი.

**თარაზულად:** 6. აუტოდაფე; 7. შავთელი; 8. რიონი; 9. მუხაძე; 10. ტორტი; 13. ნიყვი; 15. ვოლტიჟიორი; 18. ზაგრები; 20. აკრი; 21. ჩაჟაში; 23. ციცინათელა; 24. სვინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბედია; 2. ქლესა; 3. სალხინო; 4. გიტი; 5. ყელი; 6. ჭინჭილა; 9. მანდარინები; 10. ანტრაციტი; 11. კომუნიზმი; 14. პემზა; 16. გნომი; 18. ნიგერია; 20. იალბუზი; 23. ლოსი; 24. მარსი; 25. შხამი; 26. კინო.

**თარაზულად:** 7. სამშვილდე; 8. ვეგეტაცია; 12. დიუნა; 13. ლობიო; 15. როდეო; 17. მიხაილოვი; 19. ქანდა; 21. აგუტი; 22. იმოლა; 27. ფილოქსერა; 28. ფარნავაზი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0721

ევრო — 3.6420

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0343

100 რუსული რუბლი — 4.1573

## ამინდის პროგნოზი 4 აგვისტოსათვის




## თენგიზ არჩვაძე 88 წლისაა



საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი თენგიზ არჩვაძე 88 წლის გახდა.

იუბილარ ხელოვანს ინტერნეტსივრცეში დაბადების დღეს მისი ათასობით ერთგული მაყურებელი და გულშემატკივარი ულოცავს.

თენგიზ არჩვაძის თეატრალურ თუ კინოროლებზე დღემდე ბევრს საუბრობენ სხვადასხვა თაობის მაყურებლები. მისი გმირები ბევრისთვის დაუვიწყარია. თავად მსახიობს მიაჩნია, რომ მისი წარმატების მთავარი საიდუმლო საქმისადმი უდიდესი სიყვარულია.

## დემნა გვასალია: „არ ვფიქრობ, რომ დედიკოს ბიჭი ვარ!“

ასე პასუხობს მსოფლიოში ცნობილი ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია უცხოელი ჟურნალისტის შეკითხვას.

– საქართველოში პოპულარული გახდი?

– კი, უფრო ახალგაზრდებში. როცა დრო მაქვს, ქართველი ბავშვების წერილებს ვპასუხობ. მე რომ მათ ადგილზე ვყოფილიყავი და ვინმეს ეპასუხა, ჩემზე რაღაც გავლენას მოახდენდა.

– ხშირად ჩადიხარ საქართველოში?

– ახლა არა, ჩემთვის უსაფრთხო არ არის. მომავალში საქართველოში, ალბათ, ისევ ვიმოგზაურებ.

– შენი მშობლები სად ცხოვრობენ?

– მამა გერმანიაში, დედა რუსეთში, მაგრამ მამას გუშინ ველაპარაკე და მითხრა, რომ შვეიცარიაში გადმოსვლაზე ფიქრობს.



– რას ფიქრობენ შენს ასეთ წარმატებაზე?

– უხარიათ და ბედნიერები არიან ჩემ გამო.

– ბავშვობაში დედიკოს ბიჭი უფრო იყავი თუ მამიკოსი?

– არ ვფიქრობ, რომ დედიკოს ბიჭი ვარ, ან მამიკოსი. მე საკუთარი თავის ბიჭი ვარ.

– ყველაზე ხშირად რას გეუბნებიან?

– ყველაზე ხშირად მეუბნებიან, რომ მე ძალიან გავრისკე. რისკი იყო, შეიძლებოდა ყველაფერი დამეკარგა, მაგრამ გარისკვა ჩემთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. მთელი ჩემი ცხოვრება ბეწვის ხიდზე დავდიოდი. არ ვიცი. ეს უბრალოდ ჩემს სისხლშია. ფაქტია, რასაც სხვები რისკად აღიქვამენ, ჩემთვის ნორმალურია.

ჩემთვის ამ პროფესიით ფეხზე დადგომა რთული იყო. ბავშვობაში ხატვა მომწონდა და კარგად ვხატავდი. ვფიქრობდი, რომ მხატვარი გავხდებოდი, მაგრამ როდესაც სახლში ვთქვი, ჩემებმა დაიწყეს: „მხატვარი რა პროფესიაა? ფულს როგორ იშოვი?“ როდესაც ტანსაცმლის დიზაინზე მეტი გავიგე და ინტერესი გამოვხატე, ჩემებმა თქვეს: „მოდა მდიდარი ქალების საქმეა.“ საერთაშორისო ეკონომიკა მოსწონდათ და ჩავაბარე ეკონომიკაზე. ჩემი მშობლები ფიქრობდნენ, რომ გერმანიაში გადასვლის შემდეგ იგივე საქმით დავკავდებოდი. მე კი წავედი და ხელოვნების სწავლა დავიწყე. როდესაც ანტვერპენში სწავლა დავიწყე, საკერავი მანქანა მჭირდებოდა, მაგრამ ფული არ მქონდა. სახლში დავრეკე და ფული ვთხოვე, ჩემებმა მკითხეს: „საკერავი მანქანა რად გინდა? მკერავი ხარ?“ თავიდან ძალიან რთული იყო, მიჭირდა ამეხსნა, რას ვაკეთებდი. ბალენსიაგას შემდეგ მაღიარეს. დღეს ჩემს ყველა ჩვენებას ესწრებიან, ბედნიერები არიან ჩემ გამო და ძალიან უხარიათ, რასაც მივაღწიე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, შეიძლება, სიყვარულის ხელოვნებაში გაგანათლოთ?

– და რამდენის დახარჯვას აპირებთ ჩემს განათლებაში?

•••

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რამდენი ფემინისტია საჭირო ნათურის გამოსაცვლელად?

– ორი.

– რატომ?

– ერთი ნათურას შეცვლის, მეორე კი გააკონტროლებს, რომ მამაკაცი არ მიეხმაროს.

•••

სექსშოფში ქალი დიდხანს ათვალიერებს ვიტრინაში გამოფენილ საქონელს და ბოლოს გამყიდველს ეკითხება:

– უკაცრავად და გასასინჯი ოთახი სად გაქვთ?

•••

მოხუცი მამაკაცი ახალგაზრდას ეუბნება:

– ადრე ცხოვრება იყო ფერადი, კინო კი – შავ-თეთრი...

– ახლა?

– ახლა ცხოვრება გახდა შავ-თეთრი, ხოლო კინო – ფერადი.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ქალი მათემატიკასავითაა...

– ეგ როგორ?

– აუცილებელი არ არის, გესმოდეს, მთავარი მისი მოხმარებაა.

•••

ახალგაზრდა მამაკაცი ხანშიშესულს ეუბნება:

– ნახე, როგორი ლამაზი გოგონაა!

– ეს შენთვისაა გოგონა, თორემ ჩემთვის უკვე პეიზაჟია...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გვარდიოლა დაცვის გაძლიერებას აპირებს



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მის გუნდს დაცვაში გაძლიერება სჭირდება, ამიტომ მთავარი სატრანსფერო მიზანი მცველის ყიდვა იქნება.

გვარდიოლას თქმით, მათი მთავარი სამიზნე ნაპოლის მცველი კულიბალი იქნება, მაგრამ შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც:

– კარგი იქნება თუ მცველს ვიყიდით, რადგან ვფიქრობ, ეს ერთადერთი ხაზია, სადაც გაძლიერება გვჭირდება. თუ კულიბალი ჩვენთან გადმოვა, ეს კარგი იქნება, თუმცა არსებობს სხვა ვარიანტებიც. იმედი მაქვს, ტრანსფერებს მალე განვახორციელებთ.

## ლამპარდი: „პრემიერ ლიგა სექტემბერში არ უნდა იწყებოდეს“



ლონდონის ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ფრენკ ლამპარდმა განაცხადა, რომ პრემიერ ლიგის ახალი სეზონი სექტემბერში არ უნდა იწყებოდეს, რადგან ფეხბურთელები სათანადოდ დასვენებას ვერ მოასწრებენ და კონდიციებს ვერ აღიდგენენ:

– არ მგონია სეზონის სექტემბერში განახლება სწორი იყოს, რადგან პრემიერ ლიგა ცოტა ხნის წინ დამთავრდა და ფეხბურთელები სათანადოდ დასვენებას ვერ მოასწრებენ. იმედია, პრემიერ ლიგა უფრო გვიან დაიწყება.

## ბეილი: „ხშირად უსამართლოდ მაკრიტიკებენ“



მადრიდის რეალის უელსელმა ფორვარდმა გარეტ ბეილმა განაცხადა, რომ მას ზოგჯერ უსამართლოდ აკრიტიკებენ და მასზე ეს ცუდად მოქმედებს.

ბეილის თქმით, მას არ ესმის, ეს რატომ ხდება:

– კრიტიკა ზოგჯერ მისაღებია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას იმსახურებ. როდესაც გრძნობ, რომ უსამართლოდ გაკრიტიკებენ, ეს ნამდვილად უსიამოვნოა. რეალში ეს ხშირად ხდება და, სამწუხაროდ, ეს ჩემს თამაშზეც უარყოფითად აისახება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გოგონას ანომალიურად ვიწრო წელმა სოციალური ქსელის მომხმარებლები გააოგნა



მიანმის მკვიდრი გოგონას ანომალიურად ვიწრო წელმა სოციალური ქსელების მომხმარებლები საგონებელში ჩააგდო.

23 წლის სუ ნაინგი მუდმივად აქვეყნებს საკუთარ ფოტოსურათებს, რომლებზეც ის 34,7 სანტიმეტრი გარშემოწერილობის წელის დემონსტრირებას ახდენს. სტუდენტი გოგონას თქმით, ზოგიერთი ხელმომწერი მას ხშირად ბრალს სდებს, რომ ის საკუთარი სხეულის ფორმებს ფოტოშოპის დახმარებით ამცირებს. ამავე დროს, სხვები ფიქრობენ, რომ გოგონამ ნეკნების ნაწილი ასეთი ფიგურის მისაღებად მოიშორა. თავად ნაინგი ამტკიცებს, რომ მისი ასეთი ვიწრო წელი გენეტიკურია. გარდა ამისა, გოგონა აცხადებს, რომ მავნე პროდუქტებს არ მოიხმარს.

– მე სრულიად ჯანმრთელი გოგონა ვარ და არ ვფიქრობ, რომ გარეგნობის პრობლემა მაქვს, ხალხს მოსწონს ჩემი ფიგურა, – განაცხადა ნაინგმა.

## გარეულმა ძაღლმა თავი მოიმკვდარუნა და ლომებს გადაურჩა



ეშმაკმა გიენისებურმა ძაღლმა ლომებისგან თავის დაღწევა იმის წყალობით მოახერხა, რომ თავი მოიმკვდარუნა. ამის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნული პარკის არხზე გამოქვეყნდა. ვიდეო ბოტსვანის ერთ-ერთ ეროვნულ პარკში იქნა გადაღებული. მისმა ავტორმა, 50 წლის ინჟინერმა კლაუს ბემერმა განაცხადა, რომ ის თავის ქალიშვილთან ერთად საფარიზე გადაიღო. ის ექსკურსიაზე იმისთვის წავიდა, რომ დაჰპირდნენ, მისთვის მისი საყვარელი ცხოველების, გიენისებური ძაღლების ნადირობა ეჩვენებინათ. თუმცა ვიდეორგოლის გადაღების დღეს გარეული ძაღლების სამკვიდროსკენ მიმავალ გზაზე გიდმა ლომების პრაიდისკენ გადაუხვია. სანამ ტურისტები თვალს ადევნებდნენ, თუ როგორ შეექცეოდნენ მტაცებლები თავიანთ ნადავლს, პრაიდს რამდენიმე გიენისებური ძაღლი მიუახლოვდა, რომლებიც ანტილოპა იმპალას მისდევდნენ. გარეული ძაღლები ნადირობაში იყვნენ გართული და ვერ შენიშნეს, რომ პირდაპირ ლომებისკენ მიექანებოდნენ. ერთ-ერთი ხვადი ლომი ყველაზე წინ მყოფ გიენისებურ ძაღლს თავს დაესხა, მეორემ თავის დაღწევა მოახერხა. რამდენიმე წამის განმავლობაში ტურისტები ვერაფერს ხედავდნენ და მხოლოდ ცხოველების ხმები ესმოდათ. შემდეგ მათ მოახერხეს, გაერჩიათ მიწაზე გაუნძრევლად დაგდებული ძაღლი. როდესაც ლომებმა მის მიმართ ინტერესი დაკარგეს და მისგან ზურგი იბრუნეს, ის წამოხტა და გაიქცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 4 აგვისტოსათვის

**ვერძი** – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 2. დიდად განსწავლული მრავალმხრივი ცოდნის ადამიანი; 3. გვარი, ჯიში, მოდგმა; 4. ალალბედზე მოქმედება; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 12. ინფექციური დაავადების გამავრცელებელი ჩხირისებრი ბაქტერია; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირისთვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ძველებური სახელურიანი სათვალე; 17. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 22. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია.

**თარაზულად:** 6. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 7. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი დიდი ბუ; 8. შოკოლადის ხე; 9. მიწის თხილი; 10. პარკებში, ბაღებში არსებული ხელოვნური გამოქვაბული; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე საქმეში; 15. საერთო სახალხო რეფერენდუმი; 18. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 21. დაღესტნელთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 23. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე ადამიანი; 24. რომის იმპერატორთა ტიტული.




**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**